ივლისი
1928 წ.
№ 31

საქართველო

La Géorgie Indépendante
Revue mensuelle
JUILLET
1928—№ 31

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი:

მეთაური—«რუსეთის ნავთი».
კაჟი—კავკასიის ერთა სოლიდარობისთვის.
ედ. ბ—ვა საქართველოს სახალხო მეურნეობა.
ვ. გვარჯალაძე—ირლანდ. ბრძოლა თავისუფლებ.
მ—თურქეთი.
ივ. —იმე კომუნისტური სპეკულიაცია.
ფრ. ლაბერტი—კავკასელი ერები და კავკ. საკითხი.
უცხოეთის მიმოხილვა.
რას სწერენ ბოლშევიკებზე.
ბიბლიოგრაფია.
ეგრისელი—ხმა სპარსეთიდან.
წერილი რედაქციის მიმართ. და სხვ.

«რუსის ნავთი»

ეს ერთი ხანია, უცხოეთის პრესა დიდ ადგილს უთმობს კულისებში წარმოებულ მოლაპარაკებასა და კომბინაციებს, ბაქო-გროზნის ნავთის ირგვლივ. ამბობენ, ნავთის მსოფლიო «მეფენი»: ამერიკის სტანდარტ ოილ და ინგლის-ჰოლანდიის როიოლ დატჩ შელ მორიგდენ იმაში, რომ იცნონ ძველ მრეწველთა უფლება და ნავთის უცხოეთში გამოზიდვის მონოპოლია ხელთ იგდონო. მოსკოვის სააგენტო ტასს უარყოფს ამ ცნობას, მაგრამ ისე მიკიბულ-მოკიბულად, რომ კიდევ უფრო რწმუნდებით მის სიმართლეში!

საქმე აი რაშია: სტანდარტ ოილს, რომელსაც ადრევე მიენდო ნობელი, და როიოლ დატჩ შელს ერთათ უკვე ეკუთვნით, ომის წინა ანგარიშით, ამოღებულ ნავთის (დობიჩა) დაახლოებით 70 პროც.; დანარჩენი 30 პროც. მოდის ზოგიერთ სხვა უცხოელებზე (ბელგიელნი, ფრანგნი...) და უმთავრესათ იმპერიის ყოფილ ქვეშევრდომებზე (თათრები, სომხები, რუსები). ამ ადგილობრივ მრეწველთა უფლების ცნობა იმაში გამოიხატება, რომ ისინი იღებენ ამერიკა-ინგლისის დიდ ფირმებისგან მათი ქონების საერთო შეფასების 10 პროც-ს ნაღდათ, ხოლო დანარჩენი 90 პროც. მათ მიეცემათ ახალი აქციების სახით; სამაგიეროთ მათ უფლებათა სრულს წარმომადგენლობას ისინი ანდობენ ხსენებულ ფირმებს.

ამ რიგათ, როცა ბაქო-გროზნის ნავთის წარმოების მთელი ან თითქმის 100 პროც. სტანდარტ ოილის და როიოლ დატჩ შელის კონტროლს დაექვემდებარება, მაშინ მოსკოვი იძულებული გახდება ქედი მოიხაროს მათ წინაშე.

დღემდე მოსკოვი სარგებლობდა დიდი და პატარა მენავთეთა შეჯიბრებით და ყიდდა ნავთს და მის სუროგატებს ვისზეც მოეპრიანებოდა. არ ხერხდებოდა ძველი მეპატრონეთა მიერ სასამართლოს ან სხვა გზით ხელის შემლა. არავინ დაობდა იმაზე, რომ ნავთი «ნაქურდი» იყო, მაგრამ იმის დამტკიცება, რომ ის ეკუთვნოდა ამა თუ იმ მრეწველს, არავის შეეძლო, რადგან ერთი წვეთი ნავთისა მეორესა ჰგავდა. ამას ზედ დაერთო ისიც, რომ სტანდარტ ოილ და როიოლ დატჩ შელ სასტიკათ ებრძოდენ ერთმანეთს: პირველი ყიდულობდა მოსკოვისგან ნავთს, მეორე კი არა, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა ფასების დაცემა და ზარალი. თუ ეს ფირმები შერიგდენ და ძველ უფლებათა 100 პროც. ხელთ იგდეს, მათ ეძლევათ ფორმალური საშუალება საბჭოთა ნავთის ყველა «წვეთებზე» განაცხადონ პრეტენზია და მით გადაეღობონ მის გაზიდვას უცხოეთში. და ეს «უსიამოვნება» რომ თავიდან აიცილოს, მოსკოვი, გარდა იმისა, რომ მას ფასებს გარედან უკარნახებენ, იძულებული იქნება, როგორც განმარტავენ, ამ ფასებიდანაც 10 პროც. დაუკლოს იმ თანხის ასანაზღაურებლათ, რომელსაც ამერიკა-ინგლისის ფირმები ძველ მრეწველებს ჰპირდებიან!

ეს არის, ასე ვთქვათ, მთელი კომბინაციის ფინანსიური მხარე, ჩვენ კი გვაინტერესებს, პირველ რიგზე, მისი პოლიტიკური მხარე. როგორ და რანაირათ მოხდა, რომ ამერიკა-ინგლისის უდიდესი ფირმები სწორეთ მაშინ აცხადებენ სურვილს შეეკრან მოსკოვს, როცა საბჭოთა დღენი ყველგან დათვლილათ არის აღიარებული? რას ფიქრობენ ვაშინგტონისა და ლონდონის გარეშე საქმეთა მინისტრები: კელოგი და ჩემბერლენი? ნუ თუ ისინი ფირმების ზურგს უკან დგანან და სერიოზულათ მოუწადინებიათ მომაკვდავ რეჟიმის სიცოცხლისკენ მობრუნება? ჩვეულებრივ, არც ერთი დიდი ფირმა არ ეკვრის მოსკოვს, თუ მან წინასწარ თავის საგარეო სამინისტროს, მთავრობის დასტური არ მიიღო.

პასუხი ამ კითხვებზე არც ისე ძნელია, თუ მიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გებთ შემდეგ კითხვაზე: რატომ მაინც და მაინც ეხლა დაინტერესდენ ხსენებული ფირმები ბაქო-აზერბეიჯანის ძველ მრეწველთა სვე-ბედით? რატომ სცნობენ მათ უფლებას, მათ კერძო საკუთრებას? აქამდისინ სად იყვნენ? ჩვენ ვერ დავიჯერებთ, რა თქმა უნდა, ვითომ ისინი ხელმძღვანელობენ უფლებისა და სამართლიანობის მოსაზრებით. «ნაქურდი» ნავთი არანაქურდად ვერ იქცევა იმით, რომ იგივე მოსკოვი გაჰყიდის მას ჩალის ფასად. ასეთი ბედოვლათობა, თუ გნებავთ, ყოველი ქურდის თანდაყოლილი თვისებაა.

ახსნა, მაშასადამე, იმაში უნდა ვეძიოთ, რომ საბჭოთა რეჟიმს სწორეთ დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია! სტანდარტ ოილ და როიოლ დატჩ შელ ამ თავითვე ცდილობენ თავისი კონტროლი დაწესონ ბაქო-გროზნის მთელ მრეწველობაზედ. სანამ ადგილობრივი მრეწველები, უმეტესათ ლტოლვილნი, ნივთიერ გაჭივრებას განიცდიან, მათი უფლების შეძენა არა მარტო ადვილია, არამედ სარფიც: ნახევარ და კიდევ უფრო ნაკლებ ფასებში გაჰყიდიან ისინი მას.

ნავთის «მეფენი» არ დაგიდევენ, თავის თავათ ცხადია, ვინ იქნებიან ბოლშევიკების მემკვიდრენი: გაერთიანებული რუსეთი თუ აზერბეიჯანის და მთის აღდგენილი რესპუბლიკები. მათ იციან ერთი რამ ძალიან მტკიცეთ: ბოლშევიზმი გაჰქრება თავისი ფსევდო-სოციალიზმით და მის ნანგრევებზედ აღმოცენდება უფლებრივი სახელმწიფო, სულ ერთია, რა სახის, მხოლოდ ბურჟუაზიული და, მაშასადამე, კერძო საკუთრება მისი საფუძველი გახდება.

ჩვენ ვიცით და გვწამს კიდეც, რომ კრემლის სტუმრები ვერ იქნებიან კარგ გუნებაზე. «იზვესტია» პირიდან ცეცხლს აფრქვევს იმის გამო, რომ ჩერჩილი დიპლომატიურათ მიუგებს ტრავაისტებს თემთა პალატაში: ინგლო-პერშიანის საქმეში ჩვენ არ ვერევითო. ეს საზოგადოება, რომლის პორთფელი ინგლისის საზღვაო უწყებას უჭირავს ხელში, ურევია, ზევით დასახელებულ ფირმებთან, იმ შეთანხმებაში, რომლის ძალით საბჭოთა ნავთი ინდოეთის ბაზრიდან უნდა განიდევნოს. მოსკოვის პუბლიცისტები გულს იმით იკეთებენ, რომ ნიუ-ორკის სტანდარტ და ვაკუმ კიდევ ყიდულობენ მათ ნავთს, მაგრამ ვერც იმას უარყოფენ ისინი, რომ ნიუ-ჯერსის სტანდარტ, რომლის კონტროლს ეს ორი, შედარებით, პატარა ფირმა ექვემდებარება, სულაც არ ყიდულობს მისგან ნავთს.

თავი და თავი სწორეთ ამ «მეფეთა» შეთანხმებაა, დანარჩენი თავისით მოვა; ისინი ბატონობენ მსოფლიო ბაზარზედ, ევროპისაშიც, ცხადია, და შეუძლიათ სულ ადვილათ აქედანაც განდევნონ მოსკოვის საქონელი, თუ გინდ ძველი მრეწველები განზე დარჩენ. უკანასკნელთა ნაწილობრივი დაკმაყოფილება, როგორც ვთქვით, ხვალინდელი პერსპექტივებით არის გამოწვეული. ვინცარ უნდა იქნეს-ამბობენ ისინი —ბაქო-გროზნის ხვალინდელი ბატონ-პატრონი, ჩვენ მიერ შეძენილი კერძო საკუთრება ურყევი დარჩებაო.

ნუ დაივიწყებთ, ნავთის ნამდვილი ბატონ-პატრონი ისაა, ვისაც ხელთ უპყრია მისი განაწილება მსოფლიოში: ტრანსპორტი, რეზერუარები, მთელი მოწყობილობა. აქედან გამომდინარეობს, სხვათა შორის, ის განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელიც საქართველო-ბათუმს უჭირავს ბაქოს მიმართ, როგორც გზას, თავისი მოწყობილობით. შეიძლება წინდაწინ გადაწყვეტილათ ჩაითვალოს, რომ ბაქო-გროზნის მთელი მრეწველობა ჩქარა მომავალში, ე. ი., როცა ბოლშევიზმი გადავარდება, ერთი ვეება ტრესტის ხელში გადავა და ყოფილი მრეწველები მის უბრალო «პაიშჩიკებათა» იქცევიან.

მოსკოვი დიახაც არაა წინააღმდეგი, რომ კონცესიები გასცეს ბაქო-გროზნში, ამგვარი მოლაპარაკება არა ერთხელ მომხდარა გასულ წლებში. ცნობილია, მოსკოვმა მიაღწია, ნავთის ამოღების მხრით, ომის წინა დონეს, მაგრამ, რას აკეთებს, მას ხშირათ მეტი უჯდება საქონელი, უვარგის ტეხნიკისა და ორგანიზაციის წყალობით, ვინემ ყიდის გარეთ. მაგრამ, სწორეთ ბოლშევიზმის «განსაკუთრებული ბუნების» გამო, უცხო კაპიტალი არ ეტანება კონცესიებს. გამოცდილებაც საკმაო აქვთ ამისათვის: გაიხსენეთ, რამდენი კონცესია გაუქმდა რუსეთში, ჰარიმანის კონცესიის ლიკვიდაცია ჩვენ შავ-ქვაზე ხომ უაღრესათ მჭერმეტყველი მაგალითია!

და აი აქ ისმება კითხვა: რა ხელი აქვს მოსკოვს ან ნავთზე, ან შავ ქვაზე? ვინ მისცა მას უფლება ადგილობრივ ერთა—აზერბეიჯანელთა, მთიელთა, ქართველთა—ავლადიდებით ივაჭროს? არა ერთხელ გვითქვამს აქ, და ჩვენს სრულუფლებიან ელჩს, ისე როგორც აზერბეიჯანის და მთის დელეგაციებს, მრავალჯერ განუცხადებიათ სასტიკი პროტესტი იმის გამო, რომ მოსკოვის ყაჩაღები ფართე შარაგზაზედ სცარცვავენ კავკასიის ერებს, მათ მშრომელ მასებს. მეორეს მხრით, უცხოელი კაპიტალისტები, ვინც ყიდულობენ ჩვენ ქონებას და ბაჯაღლო ოქროს უთვლიან ხელში ჯერ არ მოსწრებულ მტარვალებს, რათა მათ თუ გინდ ერთი დღით გააგრძელონ ჩვენი ერების წამება, ივიწყებენ, რომ მოსკოვის ხელის მოწარა არაა სავალდებულო კავკასიის აღდგენილ რ,,სპუბლიკათა ხელისუფლებისათვის.

განსაკუთრებით საპასუხისმგებლოა, ამ ისტორიულ მომენტში, აზერბეიჯანის და მთის ეროვნულ ბურჟუაზიის როლი. ნივთიერი შევიწროება კიდევ არაა საკმაო საბუთი, რომ ანგარიში არ გაუწიონ საკუთარ ქვეყნების პოლიტიკურ მომავალს. ისინი არიან, მართალია, კერძო მესაკუთრენი თუ კონცესიონერები, მაგრამ ეს კიდევ არ აძლევს მათ ნებას დაივიწყონ ეროვნული «მე». რას ეტყვიან ისინი, შინ დაბრუნებისას, თავიანთ ხალხებს? ან თუ ჰგონიათ თავისუფალი არიან ყოველგვარ მოვალეობისაგან? მწარეთ ცდებიან, თუ ასე ფიქრობენ. კავკასიის პოლიტიკურ ემიგრაციაში, მენავთეთა გარდა, სხვაც ბევრია ბურჟუაზიული წრეებიდან, ვინც მათზე ნაკლებ გაჭივრებას არ განიცდიან. როცა სამშობლო განსაცდელშია, ერის ყველა კლასები უნდა შემოკრბენ პოლიტიკურ ცენტრის ირგვლივ,—ამას ჰქვია ევროპიული მეთოდი განმათავისუფლებელ ბრძოლისა.

ვერ დავმალავთ. ჩვენ არ ველით სომხის და რუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სის მენავთეებისაგან რიდსა და მოკრძალებას კავკასიის ქედზედ მიჯაჭულ ამირანის წინაშე. განა ისინი არ არიან, ვინც დღიდან ჩვენი უბედურებისა, დალალობას ეწევიან მოსკოვსა და უცხოელ კაპიტალისტებს შორის? ჩვენ ვიტყოდით, რომ მათ უფლებათა ლიკვიდაცია, უცხოელთა სასარგებლოთ, შეიძლება დადებითი მოვლენაც კი იყოს! წინეთაც არ ჰქონდათ მათ საბუთი ბაქო-ბერბეიჯანის ნავთისთვის «რუსის ნავთი» ეწოდებიათ, რადგან რუსებს წარმოების 10 პროცენტიც არ მოუწევდათ; ხოლო მას შემდეგ, რაც ეს ლიკვიდაცია მოხდება, ყველასათვის აშკარა გახდება, რომ რუსებს, ხიშტის გარდა, არაფერი დარჩენიათ კავკასიაში.

და ეს ხიშტიც ჩქარა გადატყდება, და ვინც მანამდის მასზედ წამოსკუპებას მოინდომებს, ზედ ჩამოენცობა.

კავკასიის ერთა სოლიდარობისთვის.

კავკასიის ერთა შორის სოლიდარობის განმტკიცება, აი მთავარი ამოცანა, რომელიც სდგას კავკასიის ერთა განმათავისუფლებელ მოძრაობის წინაშე. ვისაც სურს გაანთავისუფლოს თავისი სამშობლო მტრისგან და დააყენოს იგი ეკონომიური განვითარების გზაზე, პირველ ყოვლისა უნდა ეცადოს კავკასიის ერების შეთანხმებას და მათ შორის სახელმწიფოებრივი კავშირის შექმნასა. ხოლო მას, ვისაც უნდა იბატონოს კავკასიაში,—მან შუღლი და მტრობა უნდა სთესოს ამ ერებს შორის. კავკასიის თავისუფლების მტრებს ეს დებულება ყოველთვის კარგათ ქონდათ შეგნებული. ამ მხრით ისინი მოხერხებულათ მუშაობდენ და მუშაობენ დღესაც.

«დიდი რუსეთის» მოტრფიალენი თავის განზრახვებზე ხელს არ იღებენ და ძველ სიმღერებს ახალ ჰანგებზე გვიმღერიან. რაც ვერ შესძლეს მეფის მოხელეებმა და კომპანიამ, მის გაკეთებას ცდილობენ რუსის ემიგრაციის პოლიტიკოსები. მათ განსაკუთრებით მიზანში ამოიღეს ქართველ-სომეხთა ურთიერთობა და ყოველი გზითა და საშვალებით ცდილობენ მათ შორის მტრობის ჩამოგდებას. ვინ არ გნებავს, რომ ჩვენზე «მზრუნველობას» არ იჩენდეს, ჩვენ არ «გვასამართლებდეს»?! დიდი კაცის მანიით შეპყრობილი პოლიტიკოსი, ისტერიკიანი დედა-კაცი, სოციალიზმის ნიღაბს ამოფარებული «ველიკოდერჟავნიკი» და პირწავარდნილი მონარქისტი, ყველა სომეხ-ქართველთა ურთიერთობაზე სწერს და მსჯელობს. ყველა მათგანი ცდილობს «ბუზისგან სპილო შექმნას» და ქვეყანას მოაჩვენოს—სომხები და ქართველები ერთმანეთს სჯამენო. განსაკუთრებითს ყურადღებას გვაქცევენ «დნისა» და «სოვ. ზაპისკის» გარშემო თავმოყრილი მემარჯვენე ესერებიც, რომელთაც განზრახ თავი სომხების დამცველათ მოაქვთ. მაგრამ საკმარისია პატარა დაკვირება, რომ მათი «მზრუნველობისა და მფარველობის» ფარული მიზანი აშკარა გახდეს.

ომი რომელ ერსა და სახელმწიფოს არ ქონია ერთმანეთთან, მაგრამ აქედან დასკვნა არავის არ გამოუტანია, რომ მათი მორიგება და მეგობრობა აღარ შეიძლებაო. მსოფლიო ომში ყველაზე უფრო კულტურულმა ერებმა ერთმანეთის სისხლი დაღვარეს. მიუხედავათ ამისა, კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი ცდილობს იგი დავიწყებას მისცეს და გუშინდელი მტრები ერთმანეთს დაუმეგობრონ. ევროპის დემოკრატიის მთელი მუშაობა მიმართულია იქითკენ, რომ ომის მიერ გამოწვეული ტკივილები მოსპოს და დავიწყებას მისცეს. და აი ამ დროს, რუსის დემოკრატები და მემარჯვენე სოციალისტები სომეხ-ქართველთა სამი დღის ომს, რომელიც თვით სომხისა და საქართველოს ხალხმა დაივიწყა, შეგნებულათ აზვიადებენ და სადემაგოგიოთ იყენებენ.

ქართველებმა სომხებს უღალატესო, ხშირათ წაიკითხავთ რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. თუმცა კარგათ იციან, რომ არავითარ ღალატს ადგილი არ ქონია.

ვნახოთ სინამდვილეში ვინ უღალატა სომხებს? თუ ისტორიას გადავხედავთ და ფაქტებს გადავშინჯავთ, დავინახავთ, რომ ამ მხრით რუსის საზოგადოებას მაინც და მაინც არ აქვს პირნათლათ საქმე სომხის ერის წინაშე. დამტკიცებული ფაქტია, რომ მეფის რუსეთი ერთის მხრით აქეზებდა სომხის ერს ოსმალეთის წინააღმდეგ, ხოლო მეორეს მხრით იგი სულთანს ეხმარებოდა სომხების შევიწროებაში და კერძოთ დაშნაკცუტიუნის პარტიის დარბევაში. ასეთი იყო მეფის რუსეთი. ეხლა ვნახოთ, როგორ დაუფასა სომხის ერს მსხვერპლი რუსის საზოგადოებამ. მსოფლიო ომის დროს მთელი რუსის საზოგადოება, დაწყებული პურიშკევიჩით და გათავებული კერენსკით, გარდა სოციალისტების ერთი ნაწილისა, სომხის ერს ოსმალეთის წინააღმდეგ აქეზებდა და განთავისუფლებას პირდებოდა. სომხის ერი გულწრფელათ ჩაება ომში და გაიღო დიდი მსხვერპლი. ჩვენ სომხის ერის ეს პოლიტიკა თავიდან შეცდომათ მიგვაჩდა, რადგან დარწმუნებული ვიყავით, რომ იგი მას უბედურების მეტს არას მოუტანდა. სამწუხაროთ ჩვენი აზრი გამართლდა. რუსის ჯარის კავკასიის ფრონტიდან მოხსნის შემდეგ, სომხის ერმა თავისი საკუთარი ძალით, ავათ იყო თუ კარგათ დამოუკიდებლობა მოიპოვა და გამარჯვებულ ანტანტას მოსთხოვა მისი ცნობა და სომხის ერის ინტერესების საერთოთ დაცვა.

მერე როგორ შეხვდენ სომხის ერის ამ სამართლიან მოთხოვნილებას რუსის საზოგადოებრივი წრეები და გაანაღდეს თუ არა მათ მიერ სომხის ერისადმი გაცემული თამასუქები? არა. დახმარების მაგიერ, სადაც კი შეეძლოთ, ხელი შეუშალეს. რაც შეეხება მემარჯვენე ესერების «მოღვაწეობას», რომელთაც დღეს სომხის ერის გულშემატკივრათ მოაქვთ თავი, მას საკმაოთ ფარდა ახადა ესერების ბელადმა ამხ. ვ. ჩერნოვმა წერილში «წაგებულ საქმეთა დამცველი» («რევ. როს.» № 66-67) და ვისაც სურს გაიგოს

ამ ხალხის ნამდვილი ზრახვანი, წაიკითხოს იგი.

რუსის საზოგადოება გვიკიჟინებს: კავკასიის დამოუკიდებელმა რესპუბლიკებმა სადაო კითხვების მოგვარება ერთმანეთ შორის ვერ შესძლეს და ურუსეთოთ ვერც შესძლებენო. ერთი რომ ეს სავსებით სწორი არ არის. მცირე დროის განმავლობაში მათ ბევრი კითხვა ამოსწურეს და რომ დასცლოდათ, უეჭველია დანარჩენებსაც მოაგვარებდენ. ასეც რომ არ იყოს, რა არის აქ ისეთი, რომლის გამოსწორებაც არ შეიძლებოდეს? ევროპა ჩვენზე უფრო კულტუროსანი და გამოცდილია, მაგრამ მან 10 წლის განმავლობაში ვერ შესძლო ყველა სადაო კითხვების გადაჭრა და რა გასაკვირალია, თუ გამოუცდელმა, ახალგაზდა რესპუბლიკებმა 2-3 წლის განმავლობაში ეს ვერ შეძლეს? მე ვფიქრობ, რომ მოწინააღმდეგეთ ის აწუხებს, რომ კავკასიის ერები სადაო კითხვების გადაჭრას შეძლებენ; ამის ნიშნებია და ეს უკლავს გულს მათ. ამით აიხსნება, რომ კავკასიის ერების მიერ გაერთიანებისკენ ყოველ გადადგმულ ნაბიჯს ისინი აურზაურით ხვდებიან.

რუსები ძლიერ ბევრს ლაპარაკობენ ქართველებისა და სომხების ერთმანეთის სიძულვილის შესახებ. ესეც ისეთივე სიმართლეა, როგორც დანარჩენი. შეიძლება ვიწროო წრეებში ორივე მხრით ქონდა და აქვს ამას ადგილი, მაგრამ არასოდეს საქართველოსა და სომხის დემოკრატიას ერთმანეთისადმი სიძულვილი არც განუცდია და არც განიცდის. ყოველ შემთხვევაში ჩვენმა ხალხმა არ იცის სიტყვა «არმიაშკა» და ქართველი საზოგადოება, რუსის საზოგადოებასავით «სომხური ანეკდოტებით» არ იქცევს თავს. ამ ორი ერის დემოკრატიის გადაკიდება ვერ შესძლეს მეფის მოხელეებმა და ვერ შეძლებენ მას ვერც მისი მემკვიდრენი.

მაგრამ, რომ გარეშეთა პროვოკაციას არავითარი გასავალი არ ექნეს ჩვენ შორის, ამისათვის საჭიროა კავკასიის ერთა პოლიტიკური მოღვაწენი ერთხელ და საბოლოოთ დასდგენ კავკასიის ერთა სოლიდარობის ნიადაგზე. ამას მოითხოვს კავკასიის ერთა თავისუფლების ინტერესები, ამას გვიკარნახებს საერთაშორისო დემოკრატია. ამიტომ არ არის საჭირო ისეთი კორესპოდენციები, როგორიც ამას წინეთ «ტნიში» «არადაშნაკის» ფსევდონიმით იყო მოთავსებული. მეფისა და ბოლშევიკების აგენტების ნამოქმედარს, ჩვენს ურთიერთობას საფუძვლათ ვერ დავუდებთ.

მართალია, 70 წლის განმავლობაში სომხის ერი თავისს საკუთარ, კავკასიის ერებისგან განკერძოვებულ ეროვნულ პოლიტიკას აწარმოებდა, მაგრამ ამ პოლიტიკამ, მიუხედავათ დიდი მსხვერპლისა, მიზანს ვერ მიაღწია. ამ პოლიტიკის მთავარი ძარღვი იყო,— გარეშე ძალის დახმარებით და კერძოთ რუსეთის, სომხის ერის ოსმალეთის უღლიდან განთავისუფლება და დიდი სომხეთის შექმნა. ამ მიზნით, სომხეთმა რუსეთის ოსმალეთთან ყველა ომებში აქტიური მონაწილეობა მიიღო, მისგან მოელოდა ხსნას, მაგრამ შედეგათ მას მხოლოდ სომხის ერის განადგურება მოყვა. ეს განსაკუთრებით ნათელი გახდა მსოფლიო ომის შემდეგ: ეს გაკვეთილია სომხის ერისთვის და საერთოთ ყველა ჩაგრულ ერთათვის, და არა გვგონია, რომ ეს შეცდომა კიდევ ვინმემ განიმეოროს. მიუხედავათ ამისა, როგორც სჩანს ამ პოლიტიკას სომხის ერში კიდევ ყავს მიმდევრები. სხვებს რომ თავი დავანებოთ, სომხის ბურჟუაზიის წარმომადგენელის მ. ათაბეგოვის «დნის» რედაქციის 5 მარტის კრებაზე განცხადება ამას მოწმობს. მას გონია, რომ სომხის ერს ისევ დიდი რუსეთი იხსნის.

უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთი არასოდეს არ ყოფილა სომხეთის გულწრფელი მოსარჩლე. «რუსეთს სომხეთი უნდა უსომხებოთო», არ იყო მეფის მოხელის შემთხვევითი წამოსროლილი ფრაზა. მასში გამოხატული იყო რუსეთის პოლიტიკის ნამდვილი შინაარსი. მეფის რუსეთის სომხეთის საკითხისადმი დამოკიდებულება კიდევ უფრო გარკვეულათ ჩამოაყალიბა გარეშე საქ. მინისტრმა თავ. ლობანოვ-როსტოვსკიმ, რომელმაც 1895 წ. 4 ივლისს, ინგლისის ელჩს განუცხადა: «რუსეთი არასოდეს არ დასთანხმდება თავისი საზღვრების ახლოს შექმნას ისეთი ტერიტორია, სადაც სომხები განსაკუთრებული უფლებებით და პრივილეგიებით იქნებიან აღჭურვილი. ერთი სიტყვით, ის არასოდეს არ შექმნის სომხეთიდან მეორე ბულგარეთსო». ამ პოლიტიკისთვის მეფის რუსეთს ერთი წუთითაც არ უღალატია.

მაგრამ ის, რაც არ მისცა სომხის ერს მეფის რუსეთმა, შეიძლება მისცეს ბურჟუაზიულმა რუსეთმა? ჩვენის აზრით მასზე იმედის დამყარებაც თავის მოტყვილებაა. აი რას სწერს ამის შესახებ ბურჟუაზიულ-იმპერიალისტური რუსეთის საუკეთესო წარმომადგენელი პ. მილიუკოვი: «რუსეთის ინტერესების მიხედვით, ამბობს იგი, არამც თუ დიდი სომხეთის შექმნა, არამედ პატარა სომხეთისთვის მისი შემოერთება, არ არის სასურველი, ვინაიდან ეს ხელს შეუწყობს გახდეს სომხეთი საერთაშორისო შეჯიბრების საგნათ, როგორც პოლიტიკის, ისე ეკონომიკის სფეროშიო» (პ. მილიუკოვი «რას ელის რუსეთი ომისგან». გვ. 61). აქ ყველაფერი ნათლათ არის ნათქვამი. ამ პოლიტიკას იზიარებენ რუსეთის რადიკალური წვრილ-ბურჟუაზიული წრეებიც. ისინი მილიუკოვთან ერთათ შეებრძოლენ სომხეთის დამოუკიდებლობის ცნობას.

ამას გარდა უნდა მივიღოთ ისიც მხედველობაში, რომ მსოფლიო ომის შემდეგ აზიაში მდგომარეობა ძირიანათ შეიცვალა, აზიის ხალხები ამოძრავდენ და დღეს თუ ხვალ საბოლოოთ გაინთავისუფლებენ თავს დიდ სახელმწიფოთა «მფარველობიდან». ამავე დროს რუსეთში შეიქმნა ისეთი ძალთა განწყობილება, რომ არა გვგონია მან შესძლოს აზიაში თავისი პოლიტიკის განხორციელება. ამაზე შეუძლიათ იოცნებონ «დიდი რუსეთის» იდეიის მატარებელთ, ეს მათი საქმეა, ხოლო კავკასიის ერებმა ამით თავი არ უნდა მოიტყვილონ. იგივე ითქმის მათზე, ვინც «დიდი ოსმალეთის» პოლიტიკაზე ამყარებდა თავის იმედებს. კავკასიის ერებმა ორივე ამ პოლიტიკას ერთხელ და სამუდამოთ ჯვარი უნდა დაუსვან და ორივე ფეხით კავკასიის ნიადაგზე უნდა დადგენ.

კაჟი.

ჩეხია, 2 ივლისი 1928 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სასალხო მეურნეობა.

რას წარმოადგენს დღეს ეკონომიურათ საქართველო, მომწყვდეული ისეთ ინდუსტრიალურ ქვეყნის ოკუპაციის ქვეშ, როგორიცაა საბჭოთა რუსეთი? უკიდურეს პოლიტიკურ ჩაგვრის რეჟიმში მყოფი ქართველი მუშა და გლეხი კიდევ უარეს ეკონომიურ ჩაგვრას და ექსპლოატაციას განიცდიან რუსეთის ეკონომიური პოლიტიკის წყალობით. მრეწველობის ჩანასახი თუ იყო საქართველოში, ბოლშევიკებმა ისიც მოსპეს. მურღულის და კვარცხანის სპილენძის მადნები და ქარხნები ოსმალეთს უფეშქაშეს; ალავერდის სპილენძის ქარხანა—სომხებს. ჩათახის რკინის ქარხანა კი მიკეტეს, რადგან ადგილობრივ ბაზარზე კონკურენციას უწევდა რუსეთის რკინას. ვითომ ამ გაჩუქების საკომპენსაციოთ მოსკოვმა საქართველოს მაუდის ქარხანა აჩუქა. ჯერ მოსკოვს რა აქვს, რომ სახეირო რაიმე გააჩუქოს. ამოდენა მანძილზე ამ დამტვრეულ, ადამის წლის მანქანების გადმოსაზიდავათ, ალბათ, ფრახტი მანქანების ღირებულებაზე მეტი დაჯდა. მარა მოსკოვის «პროლეტარიატის» ნაჩუქარი თავის თავათ ძვირფასია—კეთილი გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირებისო. და მართლაც დადგეს ქარხანა ქუთაისში და აამუშავეს. რაც იმაზე საქ. სახ. მეურ. უმ. საბჭო გაჯახირდა, პირდაპირ საცოდაობაა. დიდი სურვილი იყო, დიდი მონდომება, რომ ეს «მცირედი» როგორმე შეწირული ყოფილიყო საქართველოსთვის, მარა ამის მაგივრათ განწირული გამოდგა მისი ბედი: ორი წელიწადი იბოგინა ქარხანამ დიდის ვაი-ვაგლახით და ბოლოს კი დადგა, მიხურეს.

დიდი სიმდიდრე და შედარებით ადვილი საექსპლოატაციო მადანი—შავი ქვა მოსკოვმა ამერიკელებს მისცა. ხელშეკრულება დაიდო დიდის ამბით, ათასგვარი კომენტარიებით, სადაც ბოლშევიკები საოცნებო პერსპექტივებს უქადდენ ამ საქმეს: მოითმინეთ, მართალია შემოსავალი კონცესიიდან მოსკოვის ხაზინაში შედის, მაგრამ სამაგიეროთ ფირმას ქართული სახელწოდება აქვს—«საქართველოს მარგანეცი», სამაგიეროთ საქართველო აყვავდება, ფოთში ელევატორები და სხვა დიდი მექანიკური მოწყობილებები დაიდგმება, ახალ რკინის-გზას გაიყვანებენ, ქართველი გლეხი და მუშა სამუშაოს იშოვნის—უმუშევრობა მოისპობა და სხ. და სხ. ამის მაგიერ რას ვხედავთ? კონცესია მეოთხე წელიწადია ძალაშია შესული და არასფერი... სამი წლის ფიქრის შემდეგ ჰარიმანმა უარი განაცხადა ხელშეკრულების ბევრი პუნქტების შესრულებაზე და მათ შორის ძველი—ვიწრო რკ. გზის ლიანდაგის გაფართოებაზედაც. ქვის ამოღება, რასაც წინეთ «ჩემო» აწარმოებდა, იმის მაგივრათ, რომ ხელშეკრულების ძალით გაზრდილიყო, სრულიად შეჩერდა; ამ უკანასკნელ თვეებში ექსპორტიც შეწყდა. ჭიათურა და მისი მრეწველები საშინელ კრიზისს განიცდიან. ჰარიმანმა კი, მეორე მხრივ თავის ბრაზილიის ქვას მსოფლიო ბაზარზე მონოპოლია მოუპოვა. ასე უძღვებიან ბოლშევიკები საქართველოს მრეწველობას.

კიდევ უარეს მდგომარეობაშია სასოფლო-მეურნეობა. მასზე მზრუნავი და თავის შემწუხებელი ფორმალურათ არავინ სჩანს. ტრაქტორები კი ჩამოიტანა «ნარკომზემმა» აქა-იქ, მარა მისი მხმარებელი არავინ არის და კიდეც რომ იყოს, მოსახმარათ არ ვარგა, ისე, ხან და ხან, წითელი დროშებით მორთულს გაატარებენ ქალაქებში და დაბებში ოქტომბრის და თებერვლის «დღესასწაულებზე». ხდება და უკვე მოხდა ბევრი სას.-მეურნ. ძვირფას კულტურის გადაშენება. მაგალითად, ბამბის კულტურა ომამდე არსებულთან შედარებით არაფერს არ წარმოადგენს. ბამბის თესლს კი ურიგებენ დროგამოშვებით გლეხებს, მაგრამ გლეხი მის დამუშავებაზე უარს ამბობს, რადგან მან უკვე საკმაოთ გაუსინჯა კბილი საბჭოთა ხელისუფლებას: ფასები შემდეგ მონოპოლიური იქნება და ბამბაც ტყვილა უნდა ჩაუგდოს ხელში მთავრობას (აბა სხვას ვის მიყიდის, როცა ეს აკრძალულია) და ისეთივე ამბავი მოუვა, როგორიც აბრეშუმის საქმეში მოუვიდა.

თავიდანვე აბრეშუმის მონოპოლიამ ბოლშევიკების ხელში გლეხის ყოვლათ საშინელ გაყვლეფის ხასიათი მიიღო, რამაც ბევრ ადგილებში გლეხი ქალების მღელვარებაც კი გამოიწვია. ურიგებენ გლეხებს მეტად ძვირ ფასებში აბრეშუმის თესლს (თესლის მონოპოლია კოოპერატივებს ეკუთვნის) და რამოდენიმე თვის მძიმე შრომის შედეგათ გლეხი ხედავს, რომ თესლი არ ვარგებულა და ჭია კვდება მაშინ, როცა მან აბრეშუმის დახვევა უნდა დაიწყოს. ასე მოუვიდა შარშან თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს; თუ ვინმეს კი გამოადგა, პარკის ფასი მეტად დაბალია (20 მან. ფუთი; უნდა ღირდეს კი ფულის კურსის მიხედვით—50 მან.) ისე, რომ მით გლეხი ვერაფერს იძენს. გლეხს უკვე დაფიცული აქვს, რომ შემდეგში არ წამოეგოს ბოლშევიკების ანკესს. ასე ეცემა აბრეშუმის საქმე საქართველოში. ასევეა მატყლის და თამბაქოს საქმეც. ღვინოზე კი, მართალია, მონოპოლია არ არის, მაგრამ ჩვენი «ქართული» ბოლშევიკური მთავრობა იმდენათ უსუსურია, რომ ექსპორტიც, ამ მნიშვნელოვან საგნის გასაღებაც კი ვერ შესძლო და იძულებულია ღვინო მეზობლებს გადასცეს გასასაღებლად. რუსეთში ჩვენი ღვინის სარდაფებს ყოველგან ასე აწერია: «ვინა გოსპოდვალოვ არმენიი... რაც მთავარია, სომხის სახელმწიფო ფირმებში ძველი ვაჭრები—«სპეცები» მუშაობენ, რომლებიც ფასების შექმნის კარგი სპეციებიც არიან; ღვინის ფასი ძალზე მცირეა—4 მან. ფუთი საუკეთესო კახური ღვინო. ამით კი გლეხს ეკარგება ყოველგვარი სტიმული ამ კულტურის მოშენებესათვის—საქ. სტატ. ცენტრ. სამართველოს მასალებში კიდეც არის აღნიშნული, რომ ვენახის კულტურა არა თუ ომამდე არსებულთან შედარებით, წინა წლებთან შედარებითაც კი კლებულობს.

დასავლეთ საქართველოში საკმაოდ გავრცელებული იყო ომამდე დაფნის კულტურა. დღეს ის მთელი 100 პროც. გადაშენდა, რადგან მისი ფოთოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსპორტის საგანს შეადგენდა და ახლა კი მისთვის ბაზარი არ არის.

სასოფლო მეურნეობის ძირითად ნაწარმოების —სიმინდის რაოდენობა საგრძნობლათ დაკლებულია შედარებით ომამდე არსებულთან. მეურნეობის ამ «აღდგენის» პროცესში მას წინსვლა არ ეტყობა; პირიქით—1927 წელში, წინა წელთან შედარებით ნათესების რაოდენობამ იკლო. ფასებიც მეტად მცირეა —1 მან.—1 მან 10 კაპ. ფუთი (ქ. ტფილისში). ომამდე კი 90 კ.—1 მან, ღირდა. ე. ი. დარჩა თითქმის იგივე ძველი ფასი იმ დროს როცა ფულის კურსის მიხედვით 2 ნახ. მან. უნდა ღირდეს. სიმინდის ექსპორტს ამჟამად სრულებით არ აქვს ადგილი; ომამდე კი, ცნობილია, სიმინდი საქართველოდან ბლომათ გაჰქონდათ.

საერთოდ ყველა ნათესების რაოდენობამ (საქ. ც. ს. ს. ცნობით) 1927 წელში, 1926 წელთან შედარებით იკლო ორი პროცენტით. როგორ უნდა აყვავდეს მევენახეობა, ან სხვა დარგები სასოფლო-მეურნეობისა, როდესაც მასზე უმნიშვნელო ფასებია, როდესაც მათთვის ბაზარი არ არის? ბოლშევიკების და არ. რუხაძის (ეკონომიის დიდი მცოდნე, აწ უკვე პროფესორი) ლამაზი თვალების ხათრით?

ქართველ გლეხს ამჟამათ გასაყიდი არაფერი აქვს ან თუ რაიმე ცოტაოდენი მოეპოება, მისი საფასურით ის ვერაფერს ყიდულობს—დღეს ის თითქმის ტანთ-გამძვრალი დადის; მისი ბაზარი შეზღუდულია რუსეთის დამპალ-უვარგის და წარმოუდგენლათ ძვირ საქონლით. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ოსმალეთის საზღვრებთან მოსახლე გლეხობა კონტრაბანდას მიმართავს. ერთ ხანს ამან მიიღო მასიური ხასიათი და ევროპის საქონელი ამ გზით შემოსული სერიოზულათ ემუქრებოდა რუსულ საქონელს; ამ უკანასკნელს დაცვა უნდა კოტრაბანდის კონკურენციისაგან და ბოლშევიკებმაც «დაკვრითი» წესით დაიწყეს ამის განხოციელება; საგანგებო კომისიასთან დაარსებულ იქნა სპეციალური კონტრაბანდასთან მებრძოლი განყოფილება (მის განკარგულებაშია სამხედრო ძალები—«ოსობი ოტდელი» თავისი სანაპირო რაზმებით) და შეუდგენ არა მარტო საეჭვო პირების, არამედ მთელი სოფლების აწიოკებას. ყოველთვიურათ ასობით ასახლებენ კონტრაბანდაში შემჩნეულ გლეხობას. სანაპირო რაზმს და ჩეკის აგენტებს მიცემული აქვთ ინსტრუქცია—მოჰკლან ადგილზევე ყველა საზღვარზე გადამსვლელი და ისინიც ერთგულათ ასრულებენ—აკი დახელოვნებული არიან ამ საქმეში. და ხშირათ ღარიბი გლეხი, რომელიც უმეტეს შემთხვევაში არა გასაყიდათ ეზიდება საქონელს, არამედ თავისი შიშველი ოჯახის შესამოსათ, ხდება მსხვერპლი რუსული მრეწველობის დამცველ რაზმებისა. ამგვარი უმაგალითო რეპრესიებით ებრძვიან კოტრაბანდას—ააწიოკეს მთელი რაიონები, გადაასახლეს, მოკლეს-დახვრიტეს მრავალი... კონტრაბანდამ იკლო. და ბოლშევიკებიც სიამოვნებით აღნიშნავენ—ყველაფერი წესრიგზეაო.

რა ეწოდება ისეთ ქვეყანას, რომელსაც უცხო სამხედრო ძალა აიძულებს იყიდოს ამ უცხოელების საქონელი, თუ არა კოლონია? ამას კიდევ მტკიცება უნდა? მაგრამ კოლონიაც არის და კოლონიაც. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაზე არ არის მეორე კოლონია, რომელიც ისე მწვავედ განიცდიდეს ჩაგვრას, როგორც საქართველო. და ეს არა მარტო იმიტომ, რომ საბჭოთა კოლონიალური ბატონობა განსაკუთრებით ბარბაროსულია, არამედ იმიტომაც, რომ ამ შემთხვევაში ბარბაროსულ კოლონიალურ ბატონობის ობიექტია არა ველური ან ნახევრად ველური ხალხი, არამედ თანამედროვე ერი განვითარებული კულტურით, ეროვნული შეგნებით და თვითმოქმედების უნარით, როგორიცაა ქართველი ერი. მეორე მხრით არ მოიპოვება მეორე სახელმწიფო რუსეთსავით ეკონომიურათ და კულტურულათ ჩამორჩენილი, რომელიც სხვებს ეპოტინებოდეს—კოლონიებს ეძებდეს და ამ მიზნით ქვეყნებს იპყრობდეს.

ინდუსტრიალურ ქვეყნების კოლონიები უცხო ბატონობის უზომო ექსპლოატაციის საფასურათ იძენენ მაინც ეკონომიურ სფეროში პროგრესის მნიშვნელოვან ელემენტებს, რაც ხელს შეუწყობს მათ განვითარებას და განთავისუფლების შემდეგ საფუძვლად დაედება მათი ქვეყნის წინსვლას და ეკონომიურ აღორძინებას. რუსეთის ბატონობისაგან კი საქართველოს დარჩება მხოლოდ მწარე მოგონება განვლილ ტანჯვა-წამების და... მოშლილ-დანგრეული სახალხო მეურნეობა...

ეკ. ბ—ვა.

ირლანდიელების ბრძოლა თავისუფლებისათვის.

IV.

1918 წლის დეკემბერში ინგლისის საერთო არჩევნების დროს ირლანდიიდგან 80 დეპუტატი იქნა არჩეული; მათ შორის 73 უკიდურესი ნაციონალისტები—შინფენები იყვნენ. შინფენების პარტიამ მიიღო გადაწყვეტილება, ინგლისის პარლამენტში თავისი წარმომადგენლები არ გაეგზავნა და ნაციონალური კრება თვით ირლანდიაში მოეწვია. ამ გადაწყვეტილების თანახმად ირლანდიელი დეპუტატები შეიკრიბენ 1919 წლის 21 იანვარს ირლანდიის სატახტო ქალაქში—დუბლინში და თავიანთ თავი ნაციონალურ კრებად გამოაცხადეს. კრებამ გააკეთა დეკლარაცია ირლანდიის დამოუკიდებლობის შესახებ, შეიმუშავა დროებითი კონსტიტუცია და აირჩია ხუთი წევრიდგან შემდგარი მთავრობა.

ირლანდიის რევოლიუციონური და რესპუბლიკანური მთავრობა უპირდაპირდება ინგლისელების ხელისუფლებას ირლანდიაში და თვითონ იწყებს ქვეყნის მართვა-გამგეობას. ის ქმნის ყოველგვარ ნაციონალურ დაწესებულებებს, რომლითაც უნდა შეცვლილიყო უკვე არსებული ინგლისური დაწესებულებანი. ახალი მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას: ახთენს ანკეტებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაციონალურ სიმდიდრის შესახებ; ცდილობს წინწასწიოს მრეწველობის საქმე და გაიჩინოს საკუთარი კომერციული ფლოტი; ებრძვის ემიგრაციას და ლოთობას; აგვარებს იმპორტის და ექსპორტის საკითხებს; უშვებს ერთ სესხს ირლანდიაში, მეორეს კი ამერიკაში; აარსებს ადგილობრივათ ნაციონალურ სასამართლოებს და ადმინისტრაციას. ხალხი ეხლა ამ ახალ სასამართლოებში მიდის, ძველი ოფიციალური სასამართლოები სრულიათ ცარიელი არის. თვით ინგლისელებიც კი ხშირათ ამ ახალ და არალეგალურ, მაგრამ მიუდგომელ და პატიოსან სასამართლოებს მიმართავენ. ინგლისის მთავრობა პირველ ხანებში ითმენს ასეთ მდგომარეობას, შემდეგ კი რეპრესიებს მიმართავს და იწყებს მოხალისე ირლანდიელ მოსამართლეების, თუ პოლიციელების დევნას. ლონდონის და დუბლინის მთავრობათა შორის კონფლიქტი თანდათან იზრდება და ღრმავდება.

შინაურ მუშაობასთან ერთათ და პარალელურად ირლანდიის რევოლიუციონური მთავრობა დიდ დიპლომატიურ მუშაობას აწარმოებს გარეთ. ის მიმართავს ყველა ქვეყნებს ირლანდიის დამოუკიდებლობის საცნობათ. 1919 წელს აგზავნის თავის წარმომადგენლებს პარიზის საზავო კონფერენციაზე და თხოულობს, რომ მისი წარმომადგენლები მოსმენილ იქნენ კონფერენციის მიერ. ამერიკაში ათ მილიონზე მეტი ირლანდიელი ცხოვრობს და იქ ირლანდიელებისადმი თანაგრძნობა დიდია. ვაშინგტონის სენატის და წარმომადგენელთა პალატის დადგენილების თანახმად ამერიკის საზავო დელეგაცია პარიზის კონფერენციაზე ირლანდიას დიდათ უპერდა მხარს და ექომაგებოდა მას. მაგრამ აქედგან დიდი არაფერი გამოვიდა. ინგლისის საერთაშორისო გავლენა და წონა მეტათ დიდი იყო, რომ ის დიპლომატიურ ფრონტზე ირლანდიას დაეძლია.

ირლანდიას დაეკარგა გარეშე დახმარების ყოველივე იმედი და საერთო სიჩუმეში პირისპირ დარჩენილი ირლანდია და ინგლისი ერთი მეორესთან საბრძოლველად ემზადებიან. 1919 წლის სექტემბერში ინგლისის მთავრობამ გარეკა ირლანდიის ნაციონალური კრება დუბლინში და აღკრძალა ყველა ლეგალური პოლიტიკური ორგანიზაციები მთელ ირლანდიაში. ირლანდიელებმა ბრძოლა ეხლა კონსპირატიულ ნიადაგზე გადაიტანეს. ინგლისი ცდილობს თავის ავტორიტეტი და ძალაუფლება აღადგინოს და განამტკიცოს ირლანდიაში, შინფენები კი ყოველივე ზომებს იღებენ, რომ ეს ძალაუფლება გაანადგურონ და ინგლისი ირლანდიიდგან გაძევონ.

მხოლოდ ათი თვის განმავლობაში, 1919 წელს ინგლისელებმა 22,000 ბინა გაჩხრიკეს ირლანდიაში, 2.500 პოლიტიკური მოღვაწე დაიჭირეს, მათ შორის ოც კაცამდე მოჰკლეს და ბევრი გადაასახლეს. კრებების თუ გაზეთების აღკრძალვის 400 შემთხვევას ქონდა ადგილი. 1919 წელი დიდათ წააგავდა 1798 წელს, როცა ინგლისის პირველ მინისტრმა—პიტმა პროვოკაცია მოაწყო ირლანდიაში, რასაც შედეგათ ირლანდიის პარლამენტის გარეკა მოყვა.

ინგლისელების რეპრესიებს ირლანდიელებმა პარტიზანული ბრძოლით უპასუხეს. პატარა მფრინავ რაზმებით, რომლებიც იმალებოდენ ქალაქებში თუ სოფლებში, ირლანდიელები მოულოდნელათ თავს ესხმოდენ ინგლისელების პოსტებს. უცბათ ჩნდებოდენ იქ, სადაც მათ არკვინ არ ელოდა და ყოველგან შიშის ზარს სცემდენ. იარაღს ხშირათ ამ რაზმებს საჭიროდ დროს ფარულათ კაბების ქვეშ ქალები აწოდებდენ. არა მრავალ-რიცხოვანი ირლანდიელი რესპუბლიკანური ჯარი, რომელსაც კოლინსი და ბრუგა ხელმძღვანელობდენ, დანაწილებული იყო პროვინციებში 50-100 კაცისაგან შემდგარ რაზმებათ. თვითეულ ამ რაზმის შესაცვლელათ ყოველგან არსებობდა მეორე და მესამე რაზმი. თუ ერთი რომელიმე რაზმი ჩავარდებოდა, მას მაშინვე მეორე რაზმი შეცვლიდა და ასე შემდეგ. როცა ირლანდიელებს იარაღი შეეპაკლდებოდათ, ისინი თავს ესხმოდენ ინგლისელების პოლიციის პოსტებს, ყაზარმებს, მათი ჯარის პატარა რეგულიარულ ნაწილებს, იარაღით დატვირთულ მატარებლებს და იარაღს ამ გზით იძენდენ. ირლანდიელები ხშირათ სწვავდენ ინგლისელების ოფიციალურ დაწესებულებებს, მათ სასამართლოებს, ბიუროებს, აფუჭებდენ ტელეგრაფის და ტელეფონის ხაზებს, აფეთქებდენ ხიდებს, სამხედრო მატარებლებს, თავს ესხმოდენ ფოსტას და მიქონდათ ინგლისელების ფარული მიწერ-მოწერა, იტაცებდენ ინგლისელ სამხედრო პირებს—გენერლებს, ოფიცრებს, მოსამართლეებს, მსხვილ მიწათმფლობელთ. განსაკუთრებული სიმკაცრით ეპყრობოდენ ირლანდიელები მოღალატეებს და გამცემლებს თავიანთ წრიდგან. მათ დაუზოგველათ კლავდენ და ხშირათ მათ გვამზე მიკრულ ქაღალდზე შემდეგ წარწერას სტოვებდენ: «გასამართლებულ იქნა, მიესაჯა, სისრულეში მოყვანილ იქნა. გამცემლებო, ფრთხილათ იყავით! ირლანდიის რესპუბლიკანური მხედრობა».

განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილმა ინგლისის მთავრობამ 1920 წელს ირლანდიაში სამხედრო წესები შემოიღო. მთავრობას უფლება ქონდა უბრალო იჭვის გამო დაეჭირა ხალხი, დაემწყვდია ის ციხეებში, ან გადაესახლებია. ხშირათ მთელ ამა თუ იმ უბანს შემოარტყამდენ ალყას და ყოველივე მოძრაობა შეწყდებოდა. ჩხრეკდენ კერძო ბინებს. რა დროსაც უნდოდათ, იჭერდენ, ჩხრეკდენ და დაკითხავდენ ქუჩებში გამვლელ-გამომვლელს, მატარებლებით, ან ტრამვაით მოგზაურთ, თეატრებში, კინოებში, თუ ეკლესიებში მყოფთ. ყოველგვარი მიწერ-მოწერა, ჟურნალ-გაზეთობა უსასტიკეს ცენზურას განიცდიდა. ინგლისის მთავრობის ასეთ ზომებმა შემდეგ კიდევ უფრო მახინჯი ფორმები მიიღო. ირლანდიაში ინგლისელების სამსახურში მყოფ ირლანდიელებმა უარი სთქვეს თავიანთ ძმების წინააღმდეგ ბრძოლაზე. მაშინ ინგლისმა გაგზავნა ირლანდიაში სამხედრო ნაწილები, რომელნიც უმთავრესათ უმუშევრებისა და დემობილიზური ჯარის კაცებისაგან შესდგებოდა. დროს უქონლობის გამო ეს ნაწილები სათანადოთ ვერ იქნა გაწრთვნილი და მათში არ არსებობდა არავითარი დის-

ციპლინა. ისინი შეესიენ ირლანდიას, როგორც დამსჯელი ექსპედიცია. წარმოუდგენელი სისასტიკით მოქმედებდა ინგლისის ხელისუფლება. დაჭერილებს არა თუ სცემდენ და უდიერათ ეპყრობოდენ, არამედ მათ ხშირათ წყალში ყრიდენ. ქალებს სჭრიდენ თმებს და შეურაცყოფას აყენებდენ. გააშიშვლებდენ ტყვეებს, მიწაზე წაქცეულთ სთელავდენ ფეხით, ამღერებდენ «ღმერთო იხსენ მეფეო», გააქცევდენ და მერმედ ესროდენ. ოფიცრებს აღარ ქონდათ გავლენა ჯარისკაცებზედ. ინგლისის ჯარის ნაწილები უდიდეს დემორალიზაციამ შეიპყრო. მთვრალი ინგლისელები რევოლვერებით ხელში შედიოდენ კერძო ბინებში, მაღაზიებში და იტაცებდენ ფულს, თუ ძვირფას ნივთეულობას. ადამიანის გაჩხრეკა გადაიქცა უბრალო მიზეზათ, რომ მისთვის რამე გამოეტაცნათ და წაეგლიჯათ. უდიდესი ფირმები გაცარცვეს, დასწვეს და გააკოტრეს. პირზე მასკებ აფარებული შედიოდენ ღამით ბინებში და ჰკლავდენ ლოგინში მწოლიარეთ, ან და დაჭერილებს ხოცავდენ გზაში ვითომ იმ მიზეზით, რომ გაქცევა მოინდომესო. ირლანდია გადაიქცა გალოთებულ ინგლისელ პოლიციელთა და ჯარისკაცთა სათარეშოთ.

1920 წლიდან დაწყებული 1921 წლის ნახევრამდე ირლანდიაში მუდმივ შეტაკებებს ქონდა ადგილი ინგლისელებს და ირლანდიელებს შორის. თვითეული მხარე ცდილობდა მეორე მხარესათვის სისასტიკეში ეჯობნა და გადაემეტებია. ინგლისელების რეპრესიებს ირლანდიელები რეპრესიებითვე უპასუხებდენ. როცა ინგლისელები იტაცებდენ და ჰკლავდენ ირლანდიელებს, ან სწვავდენ მათ სახლებს, ირლანდიელებიც მაშინვე ზომებს იღებენ ინგლისელებზე თავზე დასასხმელათ, მათ მოსაკლავათ და მათი მომხრეების სახლების დასაწვავათ. როგორც ყოველივე ტეროორისტულ რეჟიმის დროს, ხშირათ აქაც სულ უდანაშაულო პირები ისჯებოდენ. ყოველგან ბომბა და რევოლვერი ბატონობდა და არავინ იყო თავის სიცოცხლის და ქონების ბატონ-პატრონი. საღამოს დაწოლისას ყველა იმაზე ფიქრობდა, რომ შეიძლებოდა იმ ღამესვე მისი ბინა გაენადგურებიათ, თვითონ ის კი დაეჭირათ, ან მოეკლათ. ინგლისელების სიმკაცრემ ირლანდიელებით გაამკაცრა და მათში ინგლისელებისადმი უდიდესი სიძულვილი დაბადა. ძაღლი და ინგლისელი ირლანდიელისათვის სინონიმი იყო. ინგლისელების რეჟიმმა მთელი ირლანდია შინფენების ბანაკში მიდენა.

პირველ ხანებში ინგლისის მთავრობა უარჰყოფდა ყოველივე იმ სიმხეცეს და უწესრიგობას, რასაც მისი აგენტები ირლანდიაში ჩადიოდენ. ლოიდ ჯორჯი, რომელიც იმ დროს მთავრობის თავმჯდომარე იყო, სავსებით იცავდა და ამართლებდა თავის აგენტებს. მაგრამ ინგლისის საზოგადოება თანდათან ეცნობოდა საქმის ნამდვილ ვითარებას ირლანდიაში. მიუხედავათ იმისა, რომ ინგლისის საზოგადოებრივი აზრის აღელვება არ არის ადვილი და ის მეტათ ნელათ მოძრაობს, ირლანდიაში მომხდარ ამბებმა მაინც გამოიწვია დიდი გამოძახილი მთელ ინგლისში. ყველა კლასებში, ყველა პარტიებში, უკიდურეს მემარჯვნეთა გარდა, ყველა გაზეთებში— «ტაიმსიდან» დაწყებული «დეილი ჰერალდამდე»—, პარლამენტში, თუ სხვა საჯარო კრებებზე გაისმა საპროტესტო ხმა ირლანდიაში ინგლისის მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ, ყველა ტეროორის შეწყვეტას და გამოძიების დანიშვნას მოითხოვდა. მუშათა პარტიამ ჰენდერსონის თავმჯდომარეობით გაგზავნა ირლანდიაში სპეციალური კომისია, რომლის მოხსენებამ შემდეგ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისში. ლორდ სესილთან, ლორდ გრეისთან და ასკვიტთან ერთათ მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა აგრეთვე მთელმა სამღვდელოებამ კენტერბერიის არქი-ეპისკოპოსის პირით. ინგლისში მთავრობა ყოველთვის უწევდა მეტ ანგარიშს საზოგადოებრივ აზრს, ვიდრე ეს ევროპის სხვა ქვეყნებში ხდება. ეხლაც ის იძულებული გახდა საერთო პროტესტის წინაშე ქედი მოეხარა და ირლანდიელებისათვის დროებითი ზავის ჩამოსაგდებათ მიემართა. ამის რამოდენიმე კვირის წინეთ კი მთავრობის თავმჯდომარე ლოიდ ჯორჯი გაიძახოდა, რომ ირლანდიელების წინააღმდეგ ძალის ხმარებაზე უარის თქმა იქნებოდა კაპიტულიაცია მათი დანაშაულის და სეპარატიზმის წინაშეო. ირლანდიას ჩვენ ვერ მოვურიგდებით, მასთან შეუძლებელია ზავი, სანამ ის ჩვენთან ბრძოლას თავს არ გაანებებს და ქედს არ მოიხრისო. ყველაფერი ეს კი იყო ლოიდ ჯორჯის უაზრო მუქარა.

ინგლისს ირლანდიაში 60.000 კაცზე მეტი ჯარი ყავდა, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მან იქ წესრიგი და კანონიერება ვერ დაამყარა. ინგლისელებმა ვერ «ასწავლეს ჭკუა» ირლანდიელებს და ასე ადვილათ ისინი ვერ ჩააჩუმეს. ორივე მებრძოლი მხარე ერთი-მეორის წინააღმდეგ იყო დარაზმული და რომელიმე მათგანის დამარცხებაზე ლაპარაკი ძნელი იყო. მაგრამ მოღლილობა და მოქანცვა ორივე მხარეს ეტყობოდა. დაბოლოს, 1921 წლის ივნისში ინგლისის მთავრობა აღიარებს სამხედრო მოქმედების და რეპრესიების გზით ირლანდიაში წესრიგის აღდგენის შეუძლებლობას. ფიზიკურათ ირლანდიელებმა ვერ გაიმარჯვეს, მაგრამ მათ ის კი ქნეს, რომ მარტოთ, სხვების დაუხმარებლათ, სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს და გაუმკლავდენ უდიდეს, უძლიერეს და ომიოგან გამარჯვებულათ გამოსულ ინგლისს. ეს უკვე დიდი რამე იყო. მაგრამ, როცა ინგლისის მთავრობამ 1921 წლის ივლისში აჯანყებულ ირლანდიას დროებითი ზავის ჩამოსაგდებათ მიმართა, ეს ირლანდიელების უდიდესი მორალური გამარჯვება იყო.

(დასასრული იქნება)

ჯ. გვარჯალაძე.

შეცდომის გასწორება: მეორე წერილი— «დამ. საქ.» № 28, გვ. 6, 34 სტრიქონი ზემოდგან, უნდა იყოს: ისინი ებრძოდენ სამღვდელოების გადამეტებულ გავლენას ხალხზე და სხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ უ რ ქ ე თ ი.

ჩვენი მეზობელი თურქეთის სახელმწიფო არის მუსულმანური ქვეყანა. პირველათ მუსულმანობა გაჩნდა არაბეთში და იქიდან თანდათან ცეცხლითა და მახვილით გავრცელდა მრავალ ხალხში. მათ შორის თურანის ვაკეზე მობინადრე თურქის ხალხმა მიიღო ეს სარწმუნოება და ოსმანთა დინასტიის ხელმძღვანელობით დაიძრა თავის ადგილიდან, დაიპყრო მთელი ჩრდილო სპარსეთი, არაბეთი, შემდეგ ბიზანტია და საბოლოოთ დამკვიდრდა ბოსფორის ნაპირებზე, გაავრცელა რა თავისი ბრძანება წინა აზიაში და ევროპის და აფრიკის მოზრდილ ნაწილებში. ამ პერიოდში თურქეთი წარმოადგენს თეოკრატიულ სახელმწიფოს, რომელსაც განაგებს განუსაზღვრელი ხელისუფლებით აღჭურვილი სულთანი, ანუ პადიშაჰი, რომელმაც არაბების დაპყრობის შემდეგ უმაღლესი სარწმუნოებრივი ტიტულიც მიიღო და გახდა მთელ მუსულმანთა ხალიფი.

ხალიფს უნდა ემორჩილებოდეს ყოველი მუსულმანი, თუნდ არ იყოს თურქეთის ფარგლებში მცხოვრები. აგრეთვე ის სარგებლობს ხალიფის მფარველობით და ამ შემთხვევაში, თეორიულათ მაინც, მუსულმანთა უმაღლესი პიროვნება არ არჩევდა ერთმანეთისაგან თურქს, ალბანელს, ჩერქეზს, ქართველს თუ სხვას. ამიტომაც ძველ ოსმალეთში ეროვნული ბრძოლა სუსტი იყო, თითქმის უჩინარი. ამავე შეხედულობის ნიადაგზე აღმოცენდა ეგრედ წოდებული პანისლამიზმი, რომელიც ცდილობდა სარწმუნოების საფუძველზე დაყრდნობით ყველა მუსულმანობის თავის მოყრას, რადგან ხალიფის სახელმწიფოს საფუძველი სარწმუნება იყო და სამართალი ემყარებოდა ყორანს და მისგან გამომდინარე ადათებს «შარიატის» სახელით, ამიტომ შეუძლებელი იყო ამ კანების მიხედვით სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მრავალ არა მუსულმანთა და უცხოელთა ბევრ დარგში ცხოვრების მოწესრიგება, მაგალითად ოჯახურ ურთიერთობაში. ამიტომ აუცილებელი საჭიროება შეიქმნა არამუსულმანებისათვის ცალ-ცალკე სარწმუნოებრივ საზოგადოებათ შეკავშირება და ამ საზოგადოებათა წარმომადგენლებისათვის განსაზღვრულ კანონმდებლობითი ხელისუფლების მინიჭება. ამავე მოვლენის გამო ევროპიულ სახელმწიფოთა წარმომადგენელთ მიენიჭათ უფლება თავის ქვეშევრდომთა ცხოვრების მოწესრიგებისა და აქ დაედვა საფუძველი ევროპიელთა უპირატესობას, რომელსაც ეწოდებოდა «კაპიტულიაციები». დროთა მიმდინარეობაში რამდენათ ძველი თურქეთი სუსტდებოდა, იმდენათ ეს უფლებები ფართოვდებოდა. თურქთა შეტევითი მოძრაობა სხვა ხალხთა წინააღმდეგ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში წარმოადგენდა ძლევამოსილ წინსვლას. მაგრამ 1683 წელს ვენის კარებთან ისინი დამარცხეული იქნენ ივანე სობესკის მიერ. ამ დღიდან იწყება თურქეთის დასუსტება, ის ნელ-ნელა იკუმშება ტერიტორიალურათ, სუსტდება შიგნითაც, განსაკუთრებით მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში თურქეთი სტოვებს სულ აფრიკას, ევროპაშიაც ზედიზედ თავისუფლდებიან საბერძნეთი, სერბია, რუმინია, ბულგარია. დანარჩენ ტერიტორიაზეც დამონებულ ერებში, მუსულმანებშიც კი იღვიძებს ეროვნული მოძრაობა. თურქის პატრიოტებისთვის ცხადი შეიქნა ძველი აბსოლუტურ-თეოკრატიულ რეჟიმის შენახვის შეუძლებლობა. პირველი ცდა ამ რეჟიმის შეზღუდისათვის და კონსტიტუციის შემოსაღებათ მითხად ფაშის ხელმძღვანელობით 1876 წელში სრული დამარცხებით დასრულდა. მაგრამ ბრძოლა რეჟიმის შეცვლისათვის არ გამქრალა. და აი 1908 წელს მოწინავე აზრებით გატაცებული და მასონური ორგანიზაციების წყალობით საიდუმლოთ შეკავშირებული მცირედი ჯგუფი იარაღით ხელში ამარცხებს წითელ სულტანს აბდულ ჰამიდს, შემოაქვს ლიბერალური კონსტიტუცია პარლამენტით და პასუხისმგებელ სამინისტროთი და სხვადასხვა თავისუფლებებით. ეს იყო «კავშირის და წინსვლის», ე. ი. უნიონისტების პარტიის გამოსვლა. პირველ ხანებში ამ მოძრაობამ გამოიწვია საერთო აღტაცება როგორც გარეთ, ისე შიგნით. ყველა დამონებულნი და შეწუხებულნი აღფრთოვანებით მიეგებნენ მას. ქრისტიანებმა შვებით ამოისუნთქეს და ლოიალურ თანამშრომლობის იმედი დაესახათ, მუსულმანებსაც გამოღვიძება დაეტყოთ, ისეთი დღემდე მიჩქმალული ხალხებიც კი, როგორც არიან ჩერქეზები და ქართველები, იკრიბებიან და კლუბებს აარსებენ. მაგრამ მალე ეს გადაჭარბებული ილუზიები გაიფანტა. ალბანეთში დაიწყო მძლავრი აჯანყება. წინა პერიოდის სარწმუნოების ბურუსში გახვეული თურქი ეროვნულათ ერკვევა და დამონებულთა მიერ უფლებების მოპოვების სურვილს უყურებს როგორც იერიშს თავის ეროვნულ ბატონობის წინააღმდეგ. პანისლამიზმის იდეა არ ქრება, მაგრამ საგრძნობლათ ნელდება და ხელმძღვანელობას კარგავს; მის ადგილს იჭერს მეორე იდეა, უფრო ცხოველმყოფელი და რომელიც ვინ იცის, კიდევ რა ნაყოფს მოიტანს. ესაა იდეა პანთურქიზმისა, თურქების აღორძინების და მათი შეკავშირებისა თურქეთის ირგვლივ. მართლაც თურქების უმრავლესობა თურქეთის გარეშე ცხოვრობს. კავკასიის აზერბეიჯანი ბაქოთი, სპარსეთის აზერბეიჯანი თავრიზით, მთელი თურანი თურქთა პირველი სამშობლო, ყაზანი, ასტრახანი, ყირიმი აი სადაა კიდევ თურქების ნათესაობა და აი საითკენ იხედებიან ეროვნულ აღორძინების გზაზე დამდგარი თურქები. მოძრაობისათვის მეტად დამახასიათებელია აღვნიშნოთ, რომ პანთურქიზმის პირველი თეორეტიკოსი ყაზანელი «თათარია». უნიონისტების საკონტიტუციო რეჟიმმა მრავალი წინააღმდეგობა სძლია და მრავალს კიდევ ებრძოდა, როდესაც ევროპის ომი გაჩაღდა. პირველათ თურქები განზე გადგენ და თითქო არ ფიქრობდენ ომში ჩირევას. მაგრამ მალე მიეკედლენ გარმანიის კოალიციას. ბევრს ეს ნაბიჯი შეცდომათ მიაჩნია. ეს მეტად რთული საკითხია და მისი აქ გარკვევა არ შეგვიძლია.

დამარცხდა გერმანიის კოალიცია დიდ ომში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამარცხდა თურქეთი. და აი ამ დროს შეიქმნა სწორეთ კატასტროფიული მდგომარეობა თურქის ხალხისათვის. უნიონისტები გაიქცნენ. სულთანი თითქო შეურიგდა მდგომარეობას და თავისი ბედი გამარჯვებულთ ჩააბარა იმ იმედით, რომ ცოტა რამ თავის უფლებისა მაინც შეენარჩუნებია. ამ უმაღლეს განსაცდელის დროს რამოდენიმე თავზე ხელაღებული პატრიოტი ანატოლიაში გავარდა, დაგმო სულთანის პოლიტიკა, ჩაუდგა სათავეში ხალხს, აღადგინა ჯარი, შექმნა ეროვნული ყრილობა, სასტიკათ დაამარცხა მტერი და ჩაუყარა მკვიდრი საფუძველი ეროვნულ მთავრობას. ამ მოძრაობის მეთაურობა უეჭვოთ ეკუთვნის მუსტაფა ქემალს. ამიტომაც მას შეგვიძლია ვუწოდოთ ქემალიზმი. ეს რთული სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა დღეს სავსებით ჩამოყალიბებულია ბიუროკრატიულ დიკტატურის სახით მილიტარისტულ ძალთა ჭარბობით.

გაუქმებულ იქნა კაპიტულაციები და ამით საბოლოოთ მოისპო ევროპიელების თარეში ქვეყანაში და თურქეთმა დაიჭირა სათანადო ადგილი სხვა სახელმწიფოთა შორის თანასწორობის ნიადაგზე. ანატოლია იქმნა გაწმენდილი ქრისტიანებისაგან და მათი მცირედი რიცხვი შერჩა მხოლოდ კონსტანტინოპოლში. მოსპობილ იქმნა სულთანობა და ხალიფობაც და ამით სახელმწიფოს მოშორდა სარწმუნოებრივი ხასიათი. ქალი გაუთანასწორდა უფლებით კაცს და აღკრძალულ იქმნა მრავალცოლიანობა. სარწმუნოება ჩამოშორებულ იქმნა სახელმწიფოსაგან, აღკრძალულ იქმნა ფესკის ტარება, შემოღებულ იქმნა იურიუდიული შემოქმედების უკანასკნელი ნაყოფი შვეიცარული კოდექსი. სატახტო ქალაქი ძველათ დასაცველ და ათასგვარ ხალხით დასახლებულ სტამბოლიდან გადატანილ იქმნა ქვეყნის შუა გულში—ანგორაში. გაიხსნა მრავალი სკოლა, ქალებს აეკრძალათ პირბადის ტარება და ისინი უკვე საქმიანობენ საზოგადოებრივ ცხოვრების მრავალ დარგში. მოხდა გადასახადების სისტემის შეცვლა ევროპიულ სისტემის მიხედვით. დღის წესრიგშია მეტად ძნელ საწერ და ხმოვან ასოებს მოკლებულ ქარაგმიან არაბულ ანბანის გამოცვლა და მის ადგილზე ევროპიულ ანბანის შემოღება, რაც წარმოუდგენლათ გააადვილებს თურქულ წერა-კითხვის გავრცელებას.

ამგვარათ დღევანდელი თურქეთი მკვიდრ ნიადაგზეა დამყარებული. შიგნით წყობილება არის მტკიცე, თითქმის მთელ ხელმძღვანელ ჯგუფს აქვს მიღებული სამხედრო აღზდა და ამიტომაც ადვილათ შეაქვს ცხოვრებაში მის წოდების დისციპლინა. ქვეყანა მრეწველობის განვითარების მხრივ პრიმიტიულ მდგომარეობაშია და ჯერ საგრძნობელი არ არის კლასთა დიფერენციაცია და მათ ინტერესთა წინააღმდეგობა. ამიტომ აქ ზედმეტია პარტიებზე ლაპარაკი ევროპიულ თვალსაზრისით. დღეს მართველი «პარტია» და ბიუროკრატია თითქმის ერთმანეთს ფარავენ.

უმცირესობათა საკითხი, რომელიც ძველ თურქეთისთვის მუდმივ საშიშროებას წარმოადგენდა, დღეს საგრძნობლათ განელებულია. ქრისტიანები ფიზიკურათ ისე შემცირდენ და ისე მცირედ კუნჭულში არიან მიჩიხული, რომ გარინდულნი არიან და არც ძალა შესწევთ თავი ზევით ასწიონ. მუსულმანთა შორის საგრძნობელ ძალას წარმოადგენენ მთებში შეხიზნული ქურთები თავისი საშუალო საუკუნოებრივი ფეოდალური წყობილებით და შეიხებით. მაგრამ ეს მეტად ჩამორჩენილი ხალხი უღონოა გაუმკლავდეს მთავრობას. აქ უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება. ქრისტიანობა რომ ვრცელდებოდა, ახალ ხალხში შესვლის დროს, ემყარებოდა ამ ხალხის წინანდელ კულტურაზე და ამის გამო მრავალი ხალხი თავის ეროვნულ აღორძინების ხანას ქრისტიანობით იწყებს. მუსულმანობა პირიქით იწვევდა დენაციონალიზაციას, ცდილობდა მის წინანდელ კულტურის წაშლას, ამიტომაც ყველა ხალხები, რომელთაც მუსულმანობა მიიღეს და კულტურით ამ დროს არაბებზე მაღლა იდგენ, საგრძნობლათ ჩამოქვეითდენ. მაგრამ დიდმა ხალხებმა ამ პროცესს გაუძლეს. ასეთია, მაგ., სპარსეთი. ხოლო მრავალი ხალხი ეროვნულ საფუძველ შერყეული გაველურდა და სხვა ხალხთა ჩასანთქველ მასალათ გადაიქცა. მართალია, ამ ხალხებმა დღემდე შეინარჩუნეს მათი ენა, როგორც სალაპარაკო საშვალება, მაგრამ მოსალოდნელია, მალე ეს ლაპარაკიც დაავიწყდეთ, რადგან დღეს დიდი პროპაგანდაა ამ ლაპარაკის წინააღმდეგაც. ხშირია განცხადება «მოქალაქენო, ილაპარაკეთ თურქული, საჯარო ადგილებში არა თურქულათ ლაპარაკი დაგმობილია».

გადაჭარბებული ნაციონალიზმი ეკონომიურ სფეროში ევროპის კაპიტალს აშინებს და გადასახადების სიმძიმეც ხალხს ცოტა არ იყოს გასაჭირში აგდებს. თურქეთმა ერთ დროს საკმაოთ ისარგებლა ბოლშევიკების დახმარებით და მათთან დღესაც მეგობრული განწყობილება აქვს, მაგრამ ბოლშევიკების რაიმე გავლენაზე შიგნით ზედმეტია ლაპარაკი. აგრეთვე შეუძლებელია თურქეთი გაჰყვეს ბოლშევიკებს რაიმე ავანტიურაზე...

მ.

კომუნისტური სპეკულიაცია.

საბჭოთა კავშირის ვაჭრობის მონოპოლიამ აშკარა ყაჩაღური ხასიათი მიიღო; იგი გადაიქცა მცხოვრებთა გაძარცვის უებარ იარაღათ, წარმოუდგენელ სპეკულიაციათ, რომლის მზგავსი მაგალითი არც ერთა ქვეყნის ისტორიაში არ მოიძებნება. ამას ნათლათ გვიჩვენებს ერთი პატარა მაგალითი.

ჩვენ შემთხვევით ჩაგვივარდა ხელში ბათუმის ეგრედ წოდებულ «რესპუბლიკანურ კომისიის» ოქმებიდან ამონაწერი, რომელიც დამოწმებულია სათანადო ხელისმოწერით და ბეჭდის დასმით. ამ ამონაწერში ვნახულობთ ერთ სავაჭრო ოპერაციის მეტად დამახასიათებელ ციფრებს.

როგორც ვიცით, უცხოეთიდან საბჭოთა კავშირში რაიმე საქონლის შეტანა კომუნისტური ხელის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლების და მისი სავაჭრო ორგანოების მონოპოლიას შეადგენს, მაგრამ ზოგჯერ, როგორც იშვიათი გამონაკლისი, რომელიმე კერძო პირიც (თავისთავათ იგულისხმება, რომ ეგ პირი უცხოელი იქნება) ახერხებს საბჭოთა კავშირში საქონლის შეტანის ნებართვის მიღებას. ყველამ კარგად იცის, რომ ასეთ ნებართვას აშკარა ქრთამის ხასიათი აქვს და, მაშასადამე, მას ღებულობს არა ვაჭარი, არამედ რომელიმე თავის ქვეყანაში გავლენიანი პირი (ჟურნალისტი ან ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე), რომელმაც რაიმე სამსახური გაუწია კომუნისტებს. ადვილი მისახვედრია, რომ ასეთი პირი ნებართვას თავის სახელზე არ იღებს; მას ყავს ვინმე აგენტი და ნებართვაც ამ უკანასკნელის სახელზე იწერება. ეგ ნებართვა გამოდის ბაზარზე, სადაც იგი ძალიან ძვირათ ფასობს. მას იძენს ვაჭარი და მისი საშვალებით შეაქვს საქონელი საბჭოთა კავშირში.

ერთი ასეთი ნებართვა შეიძინა სტამბოლის ბაზარზე 40.000 თურქულ ლირათ ვაჭრების ერთმა ჯგუფმა ვინმე ისპანელ ებრაელის მეთაურობით. ამ ნებართვით შეიძლებოდა ბათუმში შეტანა და გასაღება თავისუფალ ბაზარზე 64 ათას თურქულ ლირათ ღირებულ საქონლის. ვაჭრებმა შეიძინეს ამ ღირებულების საქონელი—წინდები ქალის, კაცის და ბავშვების, ძაფი და სამართებლები; შეამოწმებიეს ფაქტურები ამიერკავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სტამბოლის წარმომადგენლობას და გაამგზავრეს საქონელი ბათუმისაკენ. ვაჭრები სრულიად დარწმუნებული იყვნენ, რომ საქონელს ბაყის გადახდის შემდეგ თავისუფლათ შეიტანდენ საქართველოში და დიდის მოგებით გაანაღდებდენ მას. მაგრამ ბოლშევიკები ხომ ბოლშევიკებს არ ეგვანებოდენ, რომ თავიანთ ბუნებისათვის ეღალატნათ და გაცემული ვექსილი პირნათლათ გაენაღდებიათ? ბათუმში ვაჭრებს გამოუცხადეს, რომ მათ საქონლის თავისუფალ ბაზარზე გაყიდვის ნებას არ მისცემენ, თუ თანახმა არ გახდებიან, «გოსტორგს» გადაუთვალონ მოგების ნახევარი. ვაჭრები ბევრს ეცადენ თავიდან აეცილებიათ ეგ წყრომა, მაგრამ ვერას გახდენ და იძულებული შეიქნენ, მიეღოთ წაყენებული პირობები. ამის შემდეგ ვაჭრებმა შეიტანეს საბაჟო გადასახადი 30.314 მანეთი და 96 კ. და დაიწყეს საქონლის გაყიდვა. ნავაჭრი ფული, სანამ რეალიზაცია დაბოლავდებოდა, შედიოდა «გოსტორგის» კასაში. მთელი საქონელი გაიყიდა «გოსტორგის» წარმომადგენლის თანდასწრებით და მისი კონტროლის ქვეშ. დადგა ანგარიშის გასწორების დროც. აღმოჩდა, რომ საქონლის რეალიზაციიდან შემოსულა სულ 306.014 მან. და 17 კაპ., იმ დროს ერთი თურქული ლირა დაახლოვებით ერთ ჩერვონულ მანეთს უდრიდა; მაშასადამე სტამბოლის ბაზარზე 64 ათას ლირათ ნაყიდი საქონელი კომუნისტური ხელისუფლების ლოცვა-კურთხევით გაყიდულა საქართველოს ბაზარზე და ისიც ბითუმათ 306. 614 ლირათ, ე. ი. 400 პრ.-ს დამატებით. ოპერაციას დაუტოვებია წმინდა მოგება 211 ათასი მანეთი (თვითღირებულების ფასებში ბოლშევიკებმა არ ჩათვალეს ნებართვის სასყიდლათ გაღებული 40 ათასი ლირა და აგრეთვე სხვა ლეგალური და არალეგალური ხარჯები), რომლის ნახევარი—105.500 მან. ხვდა «გოსტორგს».

ამ მოგების გარდა, როგორც გვიჩვენებენ ზევით დასახელებულ «სახელმწიფო კომისიის» ოქმებიდან ამონაწერში მოყვანილი ციფრები, ხელისუფლების სალაროში შესულა სხვადასხვა ჯურის გადასახადების სახით 76.733 *) მანეთი, სულ მოგებიანათ ერთად 181.233 მან. ამას უნდა დაემატოს აგრეთვე, როგორც ბოლშევიკების მიერ ქრთამათ გაღებული, ის 40 ათასი ლირა, რომელიც ვაჭრებმა გადაიხადეს ნებართვის საყიდლათ და მივიღებთ 221.233 მან. აი ეს თანხა მიუღიათ ბოლშევიკებს ერთი, შედარებით მცირე, სავაჭრო ოპერაციისაგან. 221.233 მან. გაეწერა 64.000 მან. საქონელს და გადახდა ქართველ მომხმარებელს, როგორც არაპირდაპირი ფარული გადასახადი.

ვაჭარი რომ სპეკულიაციას არ ერიდება, ყველამ კარგად იცის, იგი ვაჭრობს მოგებისათვის და სარგებლობს დროით და გარემოებით. მაგრამ სად გაგონილა და სად ნახულა, რომ მთავრობა, და ისიც ისეთი მთავრობა, რომელიც თავის თავს მუშურ-გლეხურ მთავრობას უწოდებს, ასეთ უმაგალითო სპეკულიაციას ეწეოდეს და ყაჩაღურათ ცარცვავდეს მომხმარებელს?

წინდა, ძაფი და სამართებელი ფუფუნების საგანი არ არის, არამედ პირველ მოთხოვნილების საგნებია და მათი მომხმარებელია მუშა და გლეხიც. მაშასადამე ზევით აღნიშნული თავისი სიდიდით უმაგალითო არაპირდაპირი ფარული გადასახადი ძარცვავს მუშასაც და გლეხსაც იმ კომუნისტური ხელისუფლების სასარგებლოთ, რომლის ირგვლივ შემოკრებილნი არიან ყველა ჯურის მძარცველები და მფლანგველები.

ივ. —იძე.

*) ამ თანხაში შედის 32.588 მან. საბაჟოს და საელეცენზიო ხარჯები, დანარჩენი 41.145 მან. შეადგენს გადასახადები საბრუნავ თანხაზე, მოგებაზე, სათანაბრო გადასახადს და სხვ.; მთელი ეს უკანასკნელი თანხა გადახდა ვაჭრებს მათ წილ მოგებიდან.

კავკასიელი ერები და კავკასიის საკითხი

ფრ. ლამბერტისა.

კიდევ გადაუჭრელი კავკასიის პრობლემა არ შეიძლება ჩავთვალოთ ისეთ საკითხათ, რომლის უყურადღებოთ დატოვება შესაძლებელი იყოს. ის ადრე თუ გვიან, უფრო კი ადრე, მთელი თავისი სიმწვავით საერთაშორისო საკითხების გადაჭრის მსვლელობაში შეიჭრება. ბუნებრივი ხიდი ორ ქვეყანათა შორის კავკასია წარმოადგენს მსოფლიოს ერთ საყურადღებო სტრატეგიულ პუნკტს, მეტათ მნიშვნელოვან კომუნიკაციის ცენტრს, რომელსაც ვალდებულია გაყვეს ყველა, ვისაც არ უნდა საერთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორისო მდგომარეობის მოულოდნელი ცვლილებების წინაშე მოუმზადებელი დარჩეს. ეს კუთხე ცნობილია როგორც კარგი ჰავით, ისე სიმდიდრით, აქ ცხოვრობენ გმირული ხალხები (დაახლოებით 8 მილიონი სული), რომლებიც იბრძვიან თავის ქვეყნების დამოუკიდებლობისათვის. ეს ხალხები ევროპის გულგრილობის გამო (ევროპის ინტერესია მათი მისწრაფებისათვის მხარის დაჭერა) დღეს დაპყრობილია უცხო ხალხის მიერ და იმყოფებიან წარმოუდგენელი ტერორის და ძალადობის რეჟიმის ქვეშ; ამ დამპყრობ ხალხთან მათ საერთო არაფერი აქვთ.

ეს ხალხებია: სამხრეთ კავკასიაში ქართველები, ადერბეიჯანელები და სომხები, რომლებიც დღეს ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შედიან და ჩრდილო კავკასიის ეგრედ წოდებული მთიელები, რომლებიც რამოდენიმე ავტონომიურ პროვინციებათ არიან დანაწილებულნი და დღეს შეადგენენ რუსეთის ნაწილს. ისტორია ამ ხალხების არის განუწყვეტელი ბრძოლა თავისუფლებისათვის.»

(აქ ავტორი იძლევა ამ ქვეყნების სწორ გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიულ აღწერას და საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვას, რომლიდან შემდეგ ადგილს მოვიყვანთ):

«საქართველო არსებობდა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო რამოდენიმე საუკუნით ადრე საბერძნეთის და რომის სახელმწიფოთა დაარსებამდე. საქართველოს სახელმწიფოს ეპყრა მთელი ამიერ-კავკასია და შეიცავდა 15 მილ. მცხოვრებს. საქართველოს ანექსია მოახდინა რუსის მეფემ, ალექსანდრე პირველმა (1801 წ.) და ამის შემდეგ ამ ქვეყნის ისტორია არის მუდმივი აჯანყებები (1802, 04, 10, 10, 19, 30, 78)... მიუხედავათ რუსიფიკატორულ პოლიტიკისა და სასტიკი რეპრესიებისა ქართველებმა შეინარჩუნეს ნაციონალური სახე...

როცა თებერვლის რევოლიუციამ დაანგრია მეფის რეჟიმი, ქართველები შევიდენ ამიერ-კავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკაში, შემდეგ კი 26 მაისს 1918 წ. განახორციელეს ყველა პატრიოტების ოცნება—დაარსეს საქართველოს რესპუბლიკა. (აქ ავტორი მოგვითხრობს დამოუკიდებელი საქართველოს იხტორიას, მის დაპყრობას ბოლშევიკების მიერ; ამის მიზეზს ავტორი ხედავს განსაკუთრებით საქართველოს გეოგრაფიულ მდგომარეობაში, მის სიმდიდრეში, რომელიც ასე ესაჭიროებათ ბოლშევიკებს; ავტორი აგვიწერს აჯანყებებს და ახასიათებს იმ ტეროორს, რომელიც გამეფებულია საქართველოში).

«ის პროტესტი, რომლითაც ქართველებმა მიმართეს უცხო სახელმწიფოებს საქართველოს დაპყრობის გამო, ბოლშევიკებმა ჩასთვალეს რევოლიუციონურ აკტათ, და ის მცირე ნიშნები ავტონომიისა, რომელიც მათ კიდევ შეინარჩუნეს დაპყრობის შემდეგ, მოსპეს და საქართველო ისე როგორც უკრაინა გადააქციეს რუსეთის საკუთნაოთ».

(მერე ავტორი აღნიშნავს იმ ზომებს, რომელიც გადადგმულია საქართველოს ნაციონალური მთავრობის მიერ ქვეყნის განსათავისუფლებლათ, ასახელებს პოლიტიკურ მოღვაწეებს, ჟურნალ-გაზეთებს, ორგანიზაციებს და ათავეს ამ ნაწილს შემდეგი სიტყვებით):

«აჯანყებები, რომელსაც ქონდა ადგილი საქართველოში ოკუპანტთა წინააღმდეგ, ყველა მარცხით დამთავრდა და ამ გარემოებამ ცხადი გახადა, რომ ყველა კერძო გამოსვლები წინდაწინ განწირულია, მიზნის მისაღწევათ საჭიროა ყველა დამორჩილებულ ერთა ძალების გაერთიანება. და მართლაც უკანასკნელ დროს დაიწყო ფართე ეროვნული მოძრაობა უკრაინიდან თურქესტანამდე, რომელსაც მიზნათ აქვს გაერთიანება ყველა ძალების ბოლშევიკების წინააღმდეგ.»

(აქ ავტორი აზერბეიჯანს აგვიწერს და გვაცნობს ამ ქვეყნის მოკლე ისტორიას მის ბოლშევიკების მიერ დაპყრობამდე;—ბოლშევიკები მეფის ტრადიციულ გზას გაყვენ და აზერბეიჯანის ნავთის წყაროების ხელში ჩაგდება მოიწადინეს—ამბობს ავტორი და უმატებს, რომ აზერბეიჯანი ისე როგორც საქართველო საბჭოების და რუსეთის წინააღმდეგ არის და ათავებს შემდეგი სიტყვებით):

«აზერბეიჯანი, რომელმაც სხვა ქვეყნებთან ერთად მონაწილეობა მიიღო დიდ ომში და მოკავშირეთა გამარჯვების საქმეს მსხვერპლი შესწირა (გენერ. მეხმანდაროვი, შიკლინსკი, უსუბეკოვი), იბრძვის და მოითხოვს სხვა კავკასიის ხალხებთან ერთად თავის ქვეყნის დამოუკიდებლობას».

(მერმეთ ავტორი ახასიათებს სომხეთს, მის პოლიტიკას, რომელსაც რუსოფილურს უწოდებს, რაც ავტორის აზრით შედეგია სომხეთის მძიმე მდგომარეობის, მარა ფიქრობს, რომ კავკასიის კონფედერაციის დაარსება სომხეთს რუსეთს ჩამოაშორებს და თავისკენ მიიზიდავს)...

ავტორი აგვიწერს ჩრდილო კავკასიის მთიელებს და მათ თავდადებულ ბრძოლებს რუსეთის წინააღმდეგ, გვაცნობს ამ ხალხთა მისწრაფებებს.

«ამ მოკლე მიმოხილვას სამართლიანობის დაცვის გარდა მიზნათ აქვს დაანახოს ევროპას, რომ კავკასიის ერთა სურვილები ეთანხმებიან ევროპის ინტერესებს. ევროპა, რომელიც დაინტერესებულია ყველა მთავარი საერთაშორისო გზების თავისუფლებაში, უნდა დაინტერესდეს კავკასიის ბოლშევიკებისა და საერთოთ რუსეთის ბატონობისაგან განთავისუფლებაში. თუ ეს გზა იყო და არის სარბიელი მუდმივი შეჯახების და ომებისა, დღესაც ეს საშიშროება დარჩენილია მთელი ევროპისათვის და ეს მუქარა რუსეთიდან მოდის. რუსეთის ცდა თფილი ზღვების ნაპირების დასაპყრობად არის მუდმივი საფრთხე მშვიდობიანობისათვის. შავი ზღვიდან მოკიდებული მანჯურიის მინდვრებამდის რუსეთი უტევს იმ ხალხებს, რომლებიც ამ მიმართულებით მას წინ ეღობებიან. პოლიტიკა და დაპყრობები პეტრე დიდის—ესტონეთი, ლივონია, ეკატერინე II-სი—ყირიმი, ყუბანი, პოლონეთი; ალექსანდრე I-ის—საქართველო, ბესარაბია და სხ. ამას გარკვეით გვიდასტურებს.

«მეორეს მხრით ბულგარეთისა და რუმინიის დამოუკადებელ სახელმწიფოთა დაარსება ნათლათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიჩვენებს, რომ ევროპამ გაითვალისწინა საშიშროება და მიიღო ზომები რუსეთის მადის შესამცირებლათ.

კავკასიის დაპყრობით რუსეთის მეფეები ქმნიდენ ბაზას, რომ მერმეთ უფრო მოხერხებულათ წასულიყვნენ ერთის მხრით სპარსეთის ყურესა და ინდოეთის ოკეანესაკენ და მეორეს მხრით ანატოლიისა და ხმელთა შუაზღვისაკენ.

რევოლუციამ არაფერი შეცვალა რუსების იმპერიალისტურ ზრახვებში, ეხლაც ძველებურათ სტამბოლზე ოცნებობენ.

ბოლშევიკური რუსეთი, რომელსაც ხელთ უპყრია გზები ცენტრალურ აზიაში, ემუქრება ყველა ევროპიულ კოლონიალურ სახელმწიფოებს. ის სარგებლობს აზიის ხალხთა გულუბრყვილობით, რომ აამოძრავოს მათი ძალები მსოფლიო კაპიტალიზმის დასამხობათ და ევროპის დასაუძლურებლათ. აქ მან უკვე მიაღწია დიდ შედეგებს ავღანისტანში, სპარსეთში, და ინდოეთის საზღვრებზე, რასაც ამოწმებენ მათთან დადებული ხელშეკრულებანი.

ამ რიგათ ბოლშევიკური რუსეთი დაუახლოვდა სპარსეთის ყურეს, ის გამაგრებულია შავი ზღვის ნაპირებზე, მის ხელშია კავკასია და უკრაინა და როგორც წინეთ ცარიზმი, ისე დღეს ბოლშევიზმი ემუქრება დარდანელს.

ილიუზიები უნდა მოვიცილოთ. ყოველგვარი ხელშეკრულებანი ბოლშევიკებთან უიმედო საქმეა. ისინი არასოდეს უარს არ იტყვიან ევროპის წინააღმდეგ ბრძოლაზე და კანფლიკტიც აუცილებელია. ხელშეკრულებანი, რომლებიც ზოგ ევროპის სახელმწიფოებმა ბოლშევიკებთან დასდეს, მხოლოდ მის არსებობას ხელს უწყობენ ევროპის საზარალოთ.

ამიტომ კავკასიას საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს... ის უნდა გადაიქცეს შვეიცარიათ, ნეიტრალურ სახელმწიფოთ, რომელიც კეთილგანწყობილი იქნება ევროპისადმი... ეს იქნება გარანტია ზავისა და მშვიდობიანობის.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ კავკასია დაიმკვიდრებს დამოუკიდებლობას უკრაინასათნ და თურქესტანთან ერთად და ეს სახელმწიფოები ბალტიის და პოლონეთის საშუალებით შექმნიან ერთ ანტისოვეტურ ბლოკს და ეს იქნება თავდები დიდი მშვიდობიანობისა.

რასაკვირელია, რუსეთი ადვილად ხელს არ აიღებს კავკასიაზე, რომელსაც «რუსეთის გვირგვინის» საუკეთესო მარგალიტად სთვლის, არც უკრაინაზე, რომელიც მიაჩნია კარად შავი ზღვისკენ და რომელიც აწვდის პურსა და ნახშირს. მაგრამ ეს არ შეიძლება იყოს მიზეზი ამ ქვეყნების დამონებისა. დიდმა ომმა ასწავლა ერებს ბრძოლა თავისუფლებისათვის და ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს ამ მისწრაფებას» *).

*) ეს წერილი დაიბეჭდა ამას წინად იტალიის გავლენიან ჟურნალ «პოლიტიკა»-ში.

უცხოეთის მიმოხილვა.

ჩინეთის ცდა.

ვამბობთ «ცდა», რადგან საბოლოო დასკვნის გაკეთება ვერ გაგვიბედნია! დაწყებული 1912 წლიდან, 16 წელიწადი მაშასადამე, ვეება, საზღაპრო ჩინეთი, თითქმის ნახევარი მილიარდი მცხოვრებით, ნამდვილ რევოლიუციურ დუღილშია. რამდენი რა არ გადიტანა მან, სამოქალაქო ომი, ყოველი სახისა და უკიდურესობისა, ყლეტა, წამება, შიმშილი... ბოლოს იქამდის მივიდა საქმე, რომ ეგონათ—საცაა ბოლშევიზმი და საბჭოთა სისტემა გაიმარჯვებსო! და მართლაც, ბოლშევიზმის ფესვებს ხომ აღმოსავლეთში, კიდევ უკეთ, მონღოლებში ეძებენ ევრაზიელნი,—რატომ ჩინეთში არ უნდა მოენახა მას გაცილებით უკეთესი ნიადაგი, ვინემ რუსეთში? უკანასკნელი ხომ, იმავე ევრაზიელების არ იყოს, ევროპამ «გარყვნა», წაართვა მას პირველყოფილი «უმანკოება»!

მაგრამ დახეთ, ჩინეთმა არ მოისურვა «მონღოლური» რეჟიმი, და ეს კი გაუკვირდათ არა მარტო მოსკოვის ჯიელებს, არამედ, გაცილებით მათზე ადრე, ნამდვილ განათლებულ რუსებსაც. 1912 წ., როცა პირველათ გაისმა სიტყვა «რესპუბლიკა», ყველას ეოცა. როგორ, ჩინეთი და რესპუბლიკა, სად გაგონილა ეს?—გაიძახოდენ არა მარტო რუსეთში. უკეთესი კიდევ, ბოგდიხანი ტახტიდან გადმოაბძანეს, მაგრამ ხელიც კი არ ახლეს, ის იქვეა, ჩინეთში, სცხოვრობს, როგორც უბრალო მოქალაქე! გაიხსენეთ ნიკოლოზ მეორის ბედი, მისი ოჯახობის, მცირეწლოვან ბავშვების! მოსკოვის «მონღოლებს» არ ეყოთ გამბედაობა საჯაროთ გაესამართლებიათ მეფე და მისი ამალა, გაერჩიათ ბრალიანი უბრალოსაგან, ქურდულათ, ლაჩრულათ ჩაკლეს მწყვდიად სარდაფში, როგორც სხვა ასიათასები!

საანდაზოთ ქცეული ჩინეთის გადაულახავი კედლები, თურმე ნუ იტყვით, სხვა ყალიბის ხალხს ჰყოფდა დანარჩენ მსოფლიოსაგან, თავის უხსოვარი კულტურით, ინდივიდუალობით. უკვე დადგა დრო, როცა არ შეიძლება აგდებულათ ხსენება აღმოსალეთის, შორეულ და მახლობელ აზიის, ვითომ იქ ბინადრობენ ველურები, ბარბაროსები, მოკლებულნი წინსვლის, განვითარების უნარს. ჯერ კიდევ იაპონიის მაგალითმა გვიჩვენა, რომ აზიის უძველესი კულტურა, გადახალისებული ევროპის ცოდნითა, ტეხნიკით, ხელოვნებით, არამც თუ არ ჩამოუვარდება ევროპის ახალ კულტურას, მრავალ მხრივ უსწრებს კიდეც მას.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ჩინეთის გარდაქმნის უდიდესი პროცესი დასრულებულია, შეიძლება კიდევ გავხდეთ მოწმე მოულოდნელ ამბებისა, გასაოცარ ზიგ-ზაგებისა, მაგრამ ის, რაც მოხდა და ხდება, ცხადზე უცხადესია, დიდი საეპოქო მნიშვნელობისაა არა მარტო საკუთრათ ჩინეთისთვის, არამედ მთელი ქვეყნიერებისათვის. არც ის უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი თაობა მოესწრება ყველა, თუ გინდ უმეტეს, განუზომელ შედეგებს, რასაც ჩინეთი და მისი ხალხი კაცობრიობას უმზადებენ.

საკმაოა ამ თავითვე ვთქვათ, რომ დღეს ჩინეთი

აკეთებს გმირულ ცდას სახელმწიფოებრივ გაერთიანებისას, რაც წინასწარი პირობაა მისი ძლევამოსილ გამოსვლისა საერთაშორისო ასპარეზზედ. პირველი ნაბიჯი, რაც მან გააკეთა, ეს იყო სუნ-იატ-სენის ნაშთის ნანკინში გადმოტანა და მისი პროგრამის თავისად გამოცხადება. როგორ? სუნ-იატ-სენი ხომ ლენინის მეგობარი, მისი მიმდევარი იყო? —შეიძლება თქვას ვინმემ. დიახ, ის თვითონ ასე ნათლავდა თავის თავს, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ტაქტიკა მისი მხრით. გარშემორტყმული აურაცხელი მტრებით, ის სარგებლობდა მოსკოვის ტყვიაწამლით, ფულით... მაგრამ, რაც შეეხება მის პროგრამას, ეს მან ლენინზე ადრე დასწერა, და იგი იყო ევროპიული და არა «მონღოლური». უზენაესობა ერის, დემოკრატია, თანასწორობა სხვა უზენაეს ერებთან—აი, მოკლეთ მისი პროგრამის ღერძი. და კიდეც ამიტომ ნანკინის მთავრობის პირველი დეკრეტი სწორეთ ამ ლოზუნგებს შეიცავს და, ამის გარდა,—ყური დაუგდეთ!—ბოლშევიზმისა და კომუნიზმისაგან სასტიკ გამიჯვნას.

ამ ჟამად თათბირობენ. პეკინში ღენერლები და სამოქალაქო მინისტრები. ამბობენ, ამ ორ კატეგორიის პირთა შორის არის სიტყვიერი ბრძოლაო, თვით ღენერლებიც ეცილებიან ერთმანეთსო, ჩანკაი-შეკ და ფენ- იუ- სიან უნდობლათ უყურებენ ერთმანეთსო. მესამე გმირი გასულ წლებისა—ჩან-სოლინ ბომბამა იმსხვერპლა, ფიქრობენ მოსკოვის «მარკისა»; მისი შვილი მოექცა მანჯურიას სათავეში, და ცდილობს მორიგებით გაათავოს პეკინთან საქმეო; თვით პეკინიც ნანკინში უნდა გადაიტანონ, ე. ი., ეს გახადონ დედა-ქალაქად...იმავე დროს ხდება ძველი პარტიის გუო-მინ-ტანის გადახალისება, არ იციან, რომელი ფრთა გაიმარჯვებს.

მაგრამ, თავი და თავია, როგორ შეხედვენ შექმნილ მდგომარეობას დიდი სახელმწიფოები. მათი მთავრობანი სდუმან, ან ზოგადათ უცხადებენ ნაციონალისტებს სიმპატიას, უფრო კი ბეჯითად ადევნებენ თვალ-ყურს ამბებს, არ სჯერათ კიდევ, რომ სამოქალაქო ომი ბოლოვდება. ახალი ჩინეთი კი აცხადებს, მზათ ვარ გელაპარაკოთ ახალ ხელშეკრულებათა დასადებათ, როგორც თანასწორი თანასწორსო; აუქმებს ძველ შეზღუდვებს ბაჟებისა და გადასახადების დარგებში. არასფერს ამბობს ახალი მთავრობის იურიდიულ ცნობაზე, თითქოს ეს არ აინტერესებს მას: ვარსებობ, რა გზა გაქვთ არ მიცნოთ!—ამბობს ალბათ თავის გულში.

ბერლინი და პარიზი.

უკანასკნელმა არჩევნებმა გერმანიაში მარცხნივ გადახარა სასწორი, საფრანგეთში კი მარჯვნივ, როგორც ეს კიდეც ავღნიშნეთ მაისის მიმოხილვაში. საინტერესოა ისრის ასეთი ქანაობა, ძველ რეიხსტაგში და პალატაში სწორეთ წინააღმდეგს ვხედავლით: გერმანიაში მარჯვნით ქანაობდენ, ხოლო საფრანგეთში—მარცხნით! რა გავლენა ექნება ამას ორსავე ქვეყნის ურთიერთ დამოკიდებულებმზე?

არაჩვეულებრივი იყო გერმანიის მთავრობის შედგენა. რეიხსტაგის ფრაქციები ვერ შეთანხმდენ, არ იცოდენ, რა კოალიცია გაიმარჯვებდა: ვაიმარის—ვიწრო, (სოც. დემოკრატები, ცენტრი, დემოკრატები), თუ ფართე (პოპულისტების დამატებით). ბოლოს სოც. დემ. მიულერი, რომელსაც მიენდო კაბინეტის შედგენა. იძულებული გახდა, პიროვნებისთვის, თვითეულ დასახელებულ ფრაქციის ლიდერისთვის მიემართნა, და ამან გასჭრა. ამ რიგათ, პარტიები და ფრაქციები ვერ შეთანხმდენ, ხოლო მათმა ლიდერებმა ერთ კაბინეტში ამოყვეს თავი, მემარჯვენენი—რევანშისტები გარეთ დარჩენ.

სამოქმედო პროგრამაც კი შეიმუშავეს: მუშების საშუალო შემოსავალზე გადასახადის გაუქმება, პოლიტიკური ამნისტია, 11 აგვისტოს (ვაიმარის კონსტიტუციის მიღების დღე) ეროვიულ დღესასწაულად გამოცხადება: ხოლო, რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, რეინის ევაკუაცია, დაუსის სარეპარაციო გეგმის გადასინჯვა... და აქვე უნდა აღინიშნოს ხაზ გასმით კანცლერ მიულერის კატეგორიული განცხადება, რომ გერმანიის საგარეო პოლიტიკის ორიენტაცია დასავლეთისკენაა. სხვაგვარ არც შეიძლებოდა, რადგან საგარეო სამინისტროს მეთაურად ისევ შტრეზემანი რჩება, ლოკარნოს ერთ—ერთი ავტორი.

არა ნაკლებ საინტერესო იყო საფრანგეთის შემთხვევა. პალატა აირჩიეს მემარჯვენე, ხოლო პუანკარემ ძველი მემარცხენე კაბინეტი დასტოვა! ეს ყველას ეოცა პირველ ხანებში, მემარჯვენე მარენის ჯგუფმა მოითხოვა, თანახმათ ახალ ძალთა განწყობილებისა, მეტი პორტფელი. დღეს მხოლოდ თვითონ მარენია კაბინეტში. რადიკალ-სოციალისტებმაც, რომელთაც 4 მინისტრი ჰყავთ, ოპოზიციაში გადასვლა განიზრახეს, მაგრამ პუანკარე გადადგომით დაემუქრა ერთსაც და მეორესაც და ისინიც შედრკენ. ან როგორ შეიძლებოდა ურჩობა, როცა ფრანკის სტაბილიზაცია კარზედ ადგათ, და ეს კიდეც მოახდინა პუანკარემ თვალის დახამხამებაზე, ფაკტიურად არსებული კურსის მიხედვით, და გარეშე ფინანსიურ ძალთა დაუხმარებლათ. მართალია სახელმწიფო მხოლოდ ფრანკის ერთ მეხუთედს უნაღდებს (ოქროთი) ქაღალდის ფულის მქონებელთ, მაგრამ ეს უკიდურესი ზომა გამოწვეული იყო სახალხო მეურნეობის გაჯანსაღების მისწრაფებით. პუანკარემ გაიყვანა კიდევ უფრო სწრაფათ ლუშერის დიდი გეგმა ხელმისაწდომ ბინების აშენებისა, რაზედაც არა ნაკლებ 15 მილიარდისა უნდა დაიხარჯოს.

პუანკარეს დეკლარაციას საგარეო პოლიტიკის დარგში არაჩვეულებრივი არაფერი უთქვამს, კაბინეტის შემადგენლობა, განსაკუთრებით ბრიანის საგარეო მინისტრად დარჩენა, ისედაც ცხად ჰყოფს საერთო მიდრეკილებას: მშვიდობიანობის უზრუნველ ყოფა და გერმანიასთან კედევ უფრო დაახლოება. კონკრეტიული ნაბიჯები შემოდგომის სეზონისთვის იდება. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ ბერლინი და პარიზი თანხმობას უცხადებენ ვაშინგტონის პროექტს ომის «კანონ გარეშე» გამოცხადების შესახებ. როცა მას ხელს მოაწერენ, ჩვენ მოგვიხდება მისი დაფასება; ეხლა კი ვიტყვით, რომ უაღრესათ საგულისხმიეროა ამ ორი დიდი ქვეყნის სოლიდარობა ასეთ პირველ-ხარისხოვან საერთაშორისო კითხვაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომი და ანგორა.

რუშთი ბეის, ანგორის საგარეო მინისტრის, მილანოში მუსოლინთან შეხვედრამ თავისი ნაყოფი გამოიღო, და ისიც ისე ჩქარა, რომ ევროპის ბევრი პოლიტიკოსი სახტათ დარჩა. მართლაც, ვის ეგონა, რომ იტალია და ოსმალეთი ასე ადვილათ დაუახლოვდებოდენ ერთმანეთს? ჩვენ არ გვჭირია მოსულის კონფლიქტის გახსენება, ვიცით, რა როლი ითამაშა დუჩემ მის მოგვარებაში. მაგრამ იმის შემდეგაც, დუჩე საჯაროთაც არ მალავდა იტალიის მიდრეკილებას მცირე აზიისკენ და ანგორაში კარგათ გრძნობდენ საშიშროებას. ყველას შთაბეჭდილება ისეთი იყო, რომ იტალიას ინგლისი აქეზებდა ამ მიმართულებით, თუმცა არც იმას იკიწყებდენ, რომ სწორეთ ინგლისს ყველაზე ნაკლებ უნდა სურვებოდა რომელიმე დიდი სახელმწიფოს დარდანელსა და სუეცის შუა გამაგრება! ასე თუ ისე, კვანძი გაიხსნა და ეხლა ვხედავთ, რომ ინგლისიც მომხრე ყოფილა, რომ რომსა და ანგორას თავ დაუსხმელობის და ნეიტრალობის პირობა დაედოთ, რასაც, უეჭველათ, ორივე ქვეყნის ეკონომიური თანამშრომლობა მოჰყვება.

ექვსმა წელმა განვლო ლოზანის ზავის შემდეგ და მასზედ დამყარებული იმედები არ გამართლდა. ანგორა თავს იკავებდა ევროპასთან მჭიდრო კავშირისაგან. დიპლომატიური დამოკიდებულება მას, რასაკვირველია, ყველა სახელმწიფოებთან ჰქონდა, მაგრამ დიდი შინაარსი არ ეყარა მაინც და მაინც მასში. ანგორა უფრო მოსკოვს ეხმატკბილებოდა, საერთაშორისო ასპარეზზეც თითქოს მასთან შეთანხმებით გამოდიოდა; ერთა ლიგაში მისი შესვლა ხომ ზომაზე დაგვიანდა... ამიტომ იტალია-ოსმალეთის დაახლოება თითქოს გადამწყვეტი ნაბიჯია ევროპისაკენ; ჩვენ არ გაგვიკვირდება, თუ მას მოჰყვება მეორე ნაბიჯიც: ანგორის ლონდონთან დაახლოება!

არის მეორე მომენტიც, ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო. თუ იტალია მოურიგდა ოსმალეთს, ცხადია, სიმძიმის ცენტრი მის პოლიტიკისა შავ ზღვაზედ გადადის. ამის ნიშნებს უკვე ვხედავთ იტალიის პრესაში: ხშირათ ამოიკითხავთ იქ უკრაინისა და კავკასიის რესპუბლიკათა სახელებს, სწერენ მათ ახლო წარსულზე, სიმდიდრეზე...

ღირშესანიშნავია, რომ დუჩეს ერთმა მეგობარმა მწერალმა საქვეყნოთ განმარტა იტალიის გეზი და, სხ. შორ., კატეგორიულათ უარყო ხმები, ვითომ მათ განეზრახოთ აღმოსავლეთის ხალხთა კომბინაციებში შესვლა მოსკოვთან ერთათ და აქედან ინგლისის წინააღმდეგ. ფაშისტები არც ისე ბრიყვი ვართ—ამბობს ეს მწერალი—რომ რეალობის საზღვარი დაგვეკარგოს და ინგლისი დავინდუროთ, ჩვენი საუკეთესო მეგობარი ხმელთა შუა ზღვაზედ.

და ეს, მართლა, გასაოცარი იქნებოდა სწორეთ მაშინ, როცა მოსკოვის კომბინაციები მთელს აზიაში, დიდი ხანია, სრულიად ჩაიფუშა. ამის მაჩვენებელი ისიც იყო, თუ როგორ პირში ჩალა გამოვლებული დასტოვა მეფე ამანულამ ჩიჩერინი და როგორის ხალისით მოუწერა მან ხელი განსაკუთრებულ პირობებს ანგორის პრეზიდენტს და თეირანის შაჰს.

რას სწერენ ბოლშევიკებზე.

ინგლისურ გაზეთის «დ. ექსპრესის» ცნობილი თანამშრომელი გრენვალი რუსეთში იყო, კარგა ხანს იმოგზაურა იქ, სამი ათასი კილომეტრი გაიარა და ეხლა თავის შთაბეჭდილებებს უზიარებს მკითხველებს. მისი დაკვირვებით, საბჭოთა რუსეთი დღეს განიცდის საშინელს კრიზისს, რომლის მზგავსი არ უნახავს ათი წლის განმავლობაში, «ეს კრიზისი მეტად გამწვავდება რამდენიმე თვეში, თუ პურის მოსავალი ცუდი იქნა. ხოლო თუ მოსავალი კარგი იქნა ან გვარიანი, კრიზისი გაგრძელდება ერთ წელიწადს, მაგრამ ბოლო იგივე იქნება. დამხობა აუცილებელია და კომუნიზმმა რუსეთში ან უნდა აღიაროს თავისი გაკოტრება ან არსებითად შესცვალოს თავისი პოლიტიკა. სხვა გამოსავალი არ არსებობს. ასეთია ჩემი კარგად აწონილ-დაწონილი დასკვნა ჩემი მოგზაურობიდან, იმისგან, რაც ვნახე საკუთარი თვალით და ასეთს ჩემს აზრს ადასტურებენ მთავრობის წარმომადგენელთა განცხადებანიც. ჩემი დასკვნა ემყარება პირდაპირს ფაქტებს. როცა ჩემთვის რაიმე გაუგებარი იყო, განმარტებას ვსთხოვდი როგორც ეხლანდელი რეჟიმის მომხრეებს, ისე მოწინააღმდეგეებს. მე ვიყავი ნახულის შეფასების დროს აბსოლუტურად მიუდგომელი».

გრენვალის შეხედულებით რუსეთის დღევანდელს კრიზისს ახასიათებს: «ფულის ნაკლებობა. ფული მეტად ძვირია, ძნელად საშოვარია, მთავრობის სესხი მუდამ იძულებითია. ოფიცრები და სხვა მოხელეები ვალდებულნი არიან თავის ჯამაგირის ნაწილი სესხისთვის დასტოვონ. კრემლელები უკიდურეს ზომებს ხმარობენ, რომ კურსი დაიცვან, რომ 9 მ. 44 კ. უდრიდეს გ. სტერლინგს. მაგრამ ბერლინის ბირჟაზე ამ აპრილს სტერლინგში იღებდენ 15 მ. ხოლო მაისში 20 მ.»... გლეხებში უკმაყოფილება თანდათან იზრდება. გადასახადები დიდი აწევთ. საყიდელ საქონელს ვერსად შოულობენ იმ ფულით. რომელსაც მთავრობისაგან იღებენ ხორბალში. სავაჭროებში საქონელი ცოტაა და რაც არის, მეტარ ძვირია. ლენინმა სანახევროთ მაინც შეიგნო თავის გაკოტრება და გზა მისცა ნეპს. დღეს სტალინი სულ სხვა პოლიტიკას მისდევს. უკანასკნელ ათი თვის განმავლობაში მოსკოვის 11 ათას კერძო სავაჭროდან დაკეტეს 4 ათასი. ასე სდევნიან კერძო მწარმოებლებს მთელს რუსათში».

რუსეთში სიმშილობა და ყოველგვარი გაჭირვებაა; აშის ამბები ყოველ დღე იბეჭდება უცხოეთის სხვა და სხვა მიმართულების გაზეთებში. საბჭოთა შეშინებული მთავრობა გაფაციცებით დაეძებს ფულს, მაგრამ მსესხებელი არავინაა. მდგომარეობა, რომ სერიოზიული და მძიმეა, ამას სხვათაშორის ის ადასტურებს, რომ ბოლშევიკები უცხოეთში დიდ ძალ ხორბალს ყიდულობენ და რუსეთში აგზავნიან. საქმე ისაა, რომ არც ახალ მოსავალს უჩანს მაინცა და მაინც საიმედო პირი. წინ საშინელი სურათები იხატება. შესაძლებელია ისევ კაციჭამიობის დრო განმეორდეს რუსეთში და შესაძლებელია ისიც, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზომოთ გამწარებულმა ხალხმა სტიქიურად იფეთქოს თავის ბატონების წინააღმდეგ.

ბოლშევიკები პურს ყიდულობენ უცხოეთში იმ რუსეთისათვის, რომელიც უწინ უამრავ ხორბალს აწვდიდა სხვებს, და ამავე დროს, როგორც ინგლისური გაზეთი «ტაიმსი» აღნიშნავს, საომრად ემზადებიან და იმავ უცხოეთში მოსწრაფებით იძენენ ტყვია-წამალს. რისთვის? ბოლშევიკები ომს გამოიწვევენ იმ განზრახვით, რომ გამწარებული ხალხის ფიქრი და გონება სულ სხვა მხრისკენ მიატრიალონ... ასეთი მოსალოდნელი ამბავი დიდათ აფრთხობს რუსის პოლიტიკოსებს და დიონეო, ოდესღაც მიხაილოვსკის თანამშრომელი და დღეს მილიუკოვის თანამოკალმე, მწარედ გოდებს: «თუ ბოლშევიკები გაგიყდენ და ომი ასტეხეს, ეს იქნება ნიშანი რუსეთის დასანაწილებლადო...»

ნოე ჟორდანიას ახალი წიგნი.

გასულ ზამთარში ნოე ჟორდანიამ გამოუშვა რუსულ ენაზე წიგნაკი «ნაში რაზნოგლასია», რომელიც არჩევდა ეროვნულსა და ტაქტიკის საკითხებს. წიგნაკმა დიდი აურზაური გამოიწვია რუს ემიგრანტულ წრეებში, მას გამოეხმაურა ყველა რუსული ჟურნალ-გაზეთები უცხოეთში; უმთავრესად მისი შინაარსის მიხედვით სწარმოებდა დავა მრავალრიცხოვან კრებებზე, რომლებიც გამართა ეროვნულ საკითხის შესახებ გაზ. «დნის» რედაქციამ პარიზში, აი მთელ ამ პოლემიკის დასკვნებს იძლევა ნოე ჟორდანია თავის ახალ წიგნაკში რუსულ ენაზე: «იტოგი». ამ მხოლოდ ერთი თვის წინ გამოსულ წიგნაკსაც უკვე გამოეხმაურენ რუს-ემიგრანტული გაზეთები.

წიგნი ღირს 4 ფრ. გამოწერა შეიძლება «ბრძოლის» ან «დამოუკიდებელ საქართველოს» რედაქციიდან.

ხმა სპარსეთიდან.

მე, ამ სტიქონების დამწერი, ხანდახან დავიხურავ ხოლმე უჩინმაჩის ქუდსა. შევიმოსები სპარსულ ვაჭრულ ტანისამოსით და დრო გამოშვებით მიმოვივლი ბოლშევიკ-კომუნისტების სამეფოში. სამწუხაროთ სხვადასხვა მოსაზრებით, ჩემს სამშობლო საქართველოში ვერ ვბედავ შესვლა-მიმოვლას.

ამას წინად ვიყავი ასტრახანში, იქაურმა ხალხის აუტანელმა მდგომარეობამ უტყუარად დამარწმუნა, რომ ბოლშევიკ-კომუნისტების ტკბილი სანეტარო დღეები მალე ბურუსით შეიმოსება. ქალაქში სანახევროთ არაა საჭირო სანოვაგე, თუ დროზე ვერ მოასწარით, პურს სრულიად ვერ იშოვნით.

კომუნისტებმა ათასს სისაძაგლეს ერთიც ზედ დაუმატეს: შეიარაღებული ჩეკისტები შუა ღამეს შემობრძანდებიან თქვენს სახლში და საწოლიდან აგყრიან თქვენ და ოჯახის ყველა წევრებს. უნდა იდგეთ პერანგ ამარა, სანამ ისინი თავის საქმეს მორჩებიან, გაგჩხრეკენ თავიდან ფეხებამდე, თუ საეჭვო რამ გიპოვეს, მეორე დღის სინათლეს თქვენ ვერ იხილავთ, თუ რამ ძვირფასი ოქრო-ბრილიანტი აღმოაჩინეს, თავისთვის წაიღებენ და თან დაგემუქრებიან: თუ ვინმესათვის გითქვამთ, რომ ჩვენ, ჩეკისტები, თქვენსას ვიყავით და რამე წაგართვით, დიდიან-პატარიანათ დაგვხრეტავთო. სული და ცოლშვილი ტკბილია ადამიანისათვის და ვინ გაბედავს ხმის ამოღებას. პირიქით თქვენ ღმერთს მადლობას სწირავთ, რომ ცოცხალი გადაურჩით...

დაბრუნებისას გამოვიარე ბაქოში. აქაურებიც უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან, დილიდან შვა დღემდე რიგში უნდა იდგენ ერთი გირვანქა პურისათვის. მოთმინებიდან გამოსული ზღვა ხალხი დაესია «კაზიონი» დუქნებს და მილეწ-მოლეწეს, დაცარცვეს. დაფაცურდნენ ჩეკისტ-პოლიციელები და დაჭრილ-დახოცილთა რიცხვიც გაიზარდა. ხალხი დააშოშმინეს, მაგრამ ვაი ამისთანა დაშოშმინებას. ყოველ წუთში მოსალოდნელია დამშეულ ხალხის ქუჩაში გამოსვლა. ჩეკისტებიც აღარ არიან კარგ გუნებაზე, მათთვის ატმოსფერა უკვე მოიწამლა. მაგრამ «წამხთარ საქმესა რას არგებს მერმეღა თითზე კბენანი».

დღემდის კომისრის მკვლელი ხალხში თავს ვერ შეინახავდა, ამ უკანასკნელ ხანებში გარემოება შეიცვალა, ქალაქად და სოფლად გახშირდა «რობკორების და სელკორების» კვლა, მაგრამ მკვლელებს კი ვერ პოულობენ.

ამ ერთი კვირის წიხ მოსკოვიდან ბრძანება მოუვიდა ადგილობრივ მის წარმომადგენლებს, რომ მათ თანამშრომლებს 40 პროც-ით შეუმცირდა ჯამაგირი. მაგრამ ამით მათი უკვე დაცარიელებული კასის შევსება ძნელია.

ეგრისელი.

გიორგი რუსაძე.

სტამბოლიდან გვატყობინებენ: საქართველოდან ახლად გამოსული ლტოლვილი—ახალგაზდა გიორგი გიორგის ძე რუსაძე გარდაიცვალა ფილტვების ანთებით...

წერილი რედაქციის მიმართ.

პატივცემულო რედაქტორი!

დღემდე ვირიცხებოდი «თეთრი გიორგის» ორგანიზაციაში. მაგრამ დავრწმუნდი, რომ ერის ცხოვრებაში დგება ხოლმე ისეთი მომენტი, როდესაც აუცილებელია ყველა მის ღირსეულ შვილთა შეერთება და შეკავშირება ერთ დიდ ეროვნულ იდეალში, გარეშე წვრილმალ და ჯგუფურ ინტერესებისა,—ამიტომ გამოვდივარ ზემოხსენებულ ორგანიზაციიდან და ვაცხადებ ჩემს თავს ყოველგვარ პოლიტიკურ პარტიათა გარეშე და გთხოვთ მიგულოთ როგორც ერთ-ერთ უბრალო ჯარის კაცი, რომელიც ერისათვის საჭირო მომენტში,—ჩვენი ეროვნული დროშის ქვეშ, ჩვენი მოწინავე საზოგადოების საერთო ფრონტს რომ უკავია,—გაიღებს თავის წვლილს და შეასრულებს მამულიშვილის მოვალეობას.

პატივისცემით კარლო ივანესძე მღებრიშვილი.

Rédaction et Administration.
M. J. GOBETCHIA
7, rue de Ponthieu, 7. Paris.

Arnaion — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oies* — Le Gérant : A. LARCHLIÈRE